პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
სამშაბათი
22 მაისი
№ 118 (17463)
ფასი 2 კაპ.

საქმემ გამოაჩინა

ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის" მჭედელთა ბრიგადას, რომელსაც ა. გათიკოევი ხელმძღვანელობს, კარგად იცნობენ საწარმოში. ეს მეგობრული კოლექტივი დროის მნიშვნელოვანი გასწრებით შრომობს და ვალდებულებით გადაწყვეტილი აქვს მეათე ხუთწლედის დავალება ოთხ წელიწადში შეასრულოს. საწარმოს მიერ ზეგეგმით დამზადებულ პროდუქციაში გარკვეული წვლილი ა. გათიკოევის ბრიგადასაც მიუძღვის.

ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის" საამქროს უფროსი ნ. ნესკრომნი და ელექტრიკოსი რ. ზუბაშვილი კარგად დაეუფლნენ უნგრული წარმოების აგრეგატის გაშვება-გამართვის საქმეს.

სურათებზე: ზემოთ მოწინავე ბრიგადის წევრები ლ. მულდაროვი (მარცხნივ) და ს. ტასოევი. ქვემოთ ნ. ნესკრომნი და რ. ზუბაშვილი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ ოსეთის საწარმოებში



ხუთწლედების სიკეთე!

ამხანაგებო! ამ ადგილას წინათ მეფის ძეგლი იდგა, ახლა კი ჩვენ საძირკველს ვუყრით განთავისუფლებული შრომის ძეგლს... ჩვენ ვიცით, რომ ადვილი როდია როგორც საჭიროა ისე მოვაწყოთ თავისუფალი შრომა. დღევანდელი შაბათობა პირველი ნაბიჯია ამ გზაზე, მაგრამ ჩვენ ასე ვივლით წინ და შევქმნით ნამდვილად თავისუფალ შრომას.

ეს სიტყვები ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა 1920 წლის 1 მაისს — განთავისუფლებული შრომის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილ მიტინგზე წარმოთქვა.

მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალურმა კლასიკოსებმა ადრევე განჭვრიტეს, ხოლო ისტორიულმა გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა, რომ თავისუფალი შრომის სუფევა შეიძლება მხოლოდ სოციალიზმის პირობებში შეიქმნას, განმტკიცდეს და გაიფურჩქნოს.

სოციალისტური წყობილების მიერ შობილი სახალხო მეურნეობის მართვის პრინციპულად ახალი, დემოკრატიული ფორმები და მეთოდები, მეცნიერული დაგეგმვის ლენინური პრინციპების ძალა და უპირატესობა განსაკუთრებული ძალით ხუთწლიან გეგმებში გამოვლინდა.

50 წლის წინათ შემუშავდა და საბჭოების სრულიად საკავშირო V ყრილობამ დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა. ეს იყო პირველი კომპლექსური გეგმა, რომელშიც მეცნიერულად დასაბუთდა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპი და პროპორციები.

ნიშანდობლივია ისიც, რომ წლეულს ჩვენმა ქვეყანამ პირველი კომუნისტური შაბათობების მე-60 წლისთავი აღნიშნა. შეჯიბრება და ხუთწლედი ხომ განუყოფელი ცნებებია.

საბჭოთა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, კომუნიზმის მწვერვალებისაკენ მის წინსვლაში ხუთწლიანი გეგმები განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ეს არის წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული სოციალისტური მეურნეობის უპირატესობათა პრაქტიკული გამოყენების მეთოდი. გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი გეგმების სისტემაში ხუთწლიანი გეგმა ის ძირითადი დოკუმენტია, რომელშიც მოქნილად არის შეხამებული დროსა და სივრცეში სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მიზნების, რესურსების, წარმოებისა და მოხმარების გაწონასწორების შესაძლებლობა.

პირველი ხუთწლედი ნათელი ნიშანსვეტი იყო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მთელ გზაზე; პირველი ხუთწლედის შემდეგ მთელი ჩვენი მეურნეობის განვითარება განისაზღვრება ხუთწლიანი გეგმებით, რომელთა წარმატებით განხორციელებამ იგი ჩამორჩენილიდან ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის მწვერვალებამდე მიიყვანა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებას მჭევრმეტყველურად ადასტურებს ციფრები. თუ 1928 წელს ქვეყანაში ერთ დღეში 14 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებდნენ, შარშან ერთი დღის ეს მაჩვენებელი 3.293 მილიონ კილოვატსაათამდე გაიზარდა, ქვანახშირისა — 97 ათასი ტონიდან 1 მილიონ 982 ათას ტონამდე გადიდდა, ფოლადისა — 12 ათასი ტონიდან 415 ათას ტონამდე, ავტომობილებისა — 2-დან 5.892-მდე. მარტო 1978 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 108,5 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — ორჯერ მეტი, ვიდრე პირველ ხუთწლედში მთლიანად.

ახლა სსრ კავშირში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1928 წლის დონეს ას ოცდარვაჯერ აღემატება. პრიმიტიული იარაღებით აღჭურვილი მილიონობით დაქსაქსული გლეხური მეურნეობის ნაცვლად სოფლის მეურნეობა დიდ მექანიზებულ წარმოებად იქცა. ხუთწლედიდან ხუთწლედამდე განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. ეს ბუნებრივიც არის. ჩვენი გეგმების უპირველესი მიზანი სწორედ ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებაა.

შემთხვევითი როდია, რომ სკპ XXV ყრილობამ თავისუფალი შრომის უპირველეს შედეგად საბჭოთა ადამიანი მიიჩნია, „ადამიანი, რომელმაც მოიპოვა თავისუფლება და შეძლო დაეცვა იგი უმძიმეს ბრძოლებში, ადამიანი, რომელიც აშენებდა მომავალს, რომელმაც ყველა განსაცდელს გაუძლო და თვითონაც უმაგალითოდ შეიცვალა"...

ადამიანის უმაგალითო შეცვლა კი, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური მშენებლობის პოლიტიკამ — ჩვენმა მთავარმა პოლიტიკამ განაპირობა.

საბჭოთა ხუთწლედების ისტორია — ეს არის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში მძლავრი საწარმოო ძალების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სახელმწიფოებრივი მართვის ყველა რგოლში, მეცნიერებასა და კულტურაში მაღალკვალიფიციური კადრების შექმნის ისტორია. ლ. ი. ბრეჟნევის ხატოვანი გამოთქმით, ჩვენი ხუთწლედები — ეს არის ეკონომიკის ენაზე თარგმნილი ხალხთა ლენინური მეგობრობა.

განვლილი ხუთწლედების მანძილზე საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობა ისეთი ტემპით ვითარდებოდა, რომელიც მიუწვდომელია არა მარტო კლასობრივი ანტაგონისტური წყობილებისა და კოლონიური ჩაგვრის პირობებში მყოფი მცირერიცხოვანი ერისათვის, არამედ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისთვისაც კი!

რევოლუციამდელ საქართველოში ერთ მცხოვრებზე საშუალოდ 4-ჯერ ნაკლები სამრეწველო პროდუქცია იწარმოებოდა, ვიდრე რუსეთის იმპერიაში, რომელიც თავის მხრივ ჩამორჩენილ ქვეყნად ითვლებოდა. ამჟამად რესპუბლიკა ორ დღეში უშვებს მეტ პროდუქციას, ვიდრე გამოშვებული იყო 1920 წელს. ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში განხორციელებული ძირეული ძვრები და ამ ნიადაგზე მისი პროდუქციის გამოშვების გადიდების მაჩვენებლები.

საბჭოთა საქართველო, რომელსაც 1921 წელს დიდი ლენინი მიაკუთვნებდა რუსეთზე უფრო ჩამორჩენილი გლეხური ქვეყნების რიცხვს, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში გადაიქცა თანამედროვე პროგრესული სტრუქტურის მქონე ინდუსტრიის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, მაღალგანვითარებული მეცნიერებისა და კულტურის რესპუბლიკად. ამგვარი გარდაქმნის მიღწევა, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა ხუთწლედების მეშვეობით გახდა შესაძლებელი.

ყოველი ხუთწლედი თავისი ეპოქის პირმშოა, დროის გარკვეული მონაკვეთის მიზანდასახულობათა განხორციელებას ემსახურება. ომამდელ ხუთწლედებში საბოლოოდ დაძლეული და გამოდევნილი იქნა ქვეყნიდან კაპიტალისტური ელემენტები, მოხდა წვრილგლეხური მეურნეობის ნებაყოფლობითი სოციალისტური გარდაქმნა, შეიქმნა სოციალისტური საზოგადოების საწყისი სტადიის შესატყვისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე. ომამდელ სამ ხუთწლედში შექმნილ ეკონომიკურ პოტენციალზე დაყრდნობით გმირმა საბჭოთა ხალხმა გაუძლო დიდი სამამულო ომის სასტიკ განსაცდელს, ომისწინა და ომის პერიოდში თვალსაჩინოდ ცხადყო სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის გადამწყვეტი უპირატესობა, მისი დინამიზმი, მისი სიცოცხლისუნარიანობა და გამძლეობა.

ომისშემდგომი ხუთწლედების განმავლობაში გეგმიანი ეკონომიკის უპირატესობები წარმატებით იყო გამოყენებული უღრმესი ჭრილობების მოშუშებისათვის, სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის, განვითარებული სოციალიზმის შესატყვისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და შესაბამისი საწარმოო ურთიერთობის დამკვიდრებისათვის.

მეათე ხუთწლედში კი საბჭოთა ხალხი თანამიმდევრულად ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის თანდათანობით გადაზრდა კომუნისტურ ეკონომიკად, ამ გეზს საფუძვლად უდევს პარტიის ეკონომიკური სტრატეგია თანამედროვე ეტაპზე.

რაც უფრო გვშორდება პირველი ხუთწლედის წლები, მით უფრო დიდებულად წარმოგვიდგება ისინი თვალწინ.

50 წლის მანძილზე, როგორც ეს სკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა, „შევიძინეთ სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარების უდიდესი, მრავალმხრივ უნიკალური გამოცდილება. მაგრამ ცხოვრება ერთ ადგილზე არ დგას. ახალი ამოცანები მოითხოვს გადაწყვეტის ახალ გზებს, შემოქმედებით მიდგომას მთელი საგეგმო მუშაობის ორგანიზაციისადმი".

უკანასკნელ ხანს საგრძნობლად ამაღლდა საგეგმო ორგანოების მუშაკთა პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის დადგენილებების შესრულებისათვის. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტის გრძელვადიან და პერსპექტიულ პერიოდში ეკონომიკის განვითარების მეცნიერული დასაბუთების, ყველა დონეზე და ყველა რგოლში სამეურნეო ხელმძღვანელობის კოორდინაციისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ტერიტორიული და დარგობრივი დაგეგმვის ოპტიმალური შეხამებისათვის.

ახლა, როცა მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულება გადამწყვეტ ფაზაში შედის, საჭიროა ღრმად, მრავალმხრივ გავაანალიზოთ მეურნეობის განვითარების მთავარი პრობლემები მისი ეფექტიანობის, ხარისხის შემდგომი ამაღლების პოზიციებიდან. ახლებურ შემოქმედებითს მიდგომას მოითხოვს დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების მეთოდები იმ თვალსაზრისით, რომ ყველგან მივაღწიოთ ჩვენი გაზრდილი შესაძლებლობისა და დოვლათის ყაირათიან, უაღრესად რაციონალურ გამოყენებას. კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს ხუთწლედების ეკონომიკური და სოციალური პროგრამების ურთიერთკავშირი. ხუთწლედის ფინიშზე განსაკუთრებით უნდა ამაღლდეს თითოეული სამინისტროს, გაერთიანების, საწარმოს მუშაკთა პასუხისმგებლობა სახელმწიფო დავალებათა დროული შესრულებისათვის. არსად არ უნდა გამოვიჩინოთ შემრიგებლური დამოკიდებულება სახელმწიფო გეგმების შეუსრულებლობისა და საგეგმო დავალებათა დაუსაბუთებელი ცვლილებების მიმართ.

ახლა, ხუთწლედის საიუბილეო წელს, განსაკუთრებით საჭიროა ავამაღლოთ მთელი ჩვენი საგეგმო-ეკონომიკური მუშაობის დონე, არსებითად გავადიდოთ ეკონომიკის ეფექტიანობა, სრულვყოთ მთელი სამეურნეო მექანიზმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის 50 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ ნათქვამია, რომ სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებმა მთელი მეცადინეობა უნდა მოახმარონ ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, თითოეულ სამუშაო ადგილას მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას, წარმოების რეზერვების სრულ გამოყენებას, მომჭირნეობის რეჟიმის ზუსტ დაცვას.

მხოლოდ ასეთ პირობებში გახდება შესაძლებელი არა მარტო წარმატებით დავამთავროთ ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი, არამედ მეთერთმეტე ხუთწლიან გეგმაშიც ხორცი შევასხათ პარტიის ეკონომიკურ პოლიტიკას, ახალმა ხუთწლედმაც შეისისხლხორცოს ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური აზრის უკანასკნელი მიღწევები, სოციალისტური დაგეგმვის ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილება.

ხუთწლედის მეოთხე წელიწადი

შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე!

გეგმა გადაჭარბებით

თბილისი. (საქ. კორ.). კარგი ტემპი აიღო მიმდინარე ხუთწლედის მეოთხე წელს დედაქალაქის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების (დირექტორი — გ. მამუჩაშვილი) კოლექტივმა. პირველ კვარტალში დავალება მან ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა. მომხმარებელმა გეგმის გადამეტებით მიიღო 149 ათასი მანეთის აბრეშუმის ქსოვილი. შრომის ნაყოფიერების ზრდამ საწარმოში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10,8 პროცენტს მიაღწია.

მეაბრეშუმეები მეორე კვარტალშიც ნაყოფიერად შრომობენ. აპრილში მათ წარმატებით შეასრულეს დავალება. გამოშვებულია ათიათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია და გეგმით გათვალისწინებული სამი მილიონ 935 ათასი მანეთის ნაცვლად გასაღებულია 59 ათასი მანეთით მეტი ღირებულების ნაწარმი.

გაერთიანების მშრომელები მაისში კიდევ უფრო მეტი შემართებით შრომობენ.

მაღაროელთა წარმატება

ჭიათურა. (საქ. კორ.). მუყაითად შრომობენ ახალი ითხვისის მაღაროელები, რომლებიც ხელდამშვენებული ხვდებიან მანგანუმის საბადოს დამუშავების მე-100 წლისთავის იუბილეს.

პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით მათ პირველი ადგილი დაიკავეს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოთა შორის. ნაყოფიერად გაისარჯნენ ისინი აპრილშიც და ოთხ თვეში სახალხო მეურნეობას 67.400 ტონა მანგანუმის კონცენტრატი მისცეს. სამაყოა სხვა ეკონომიკური მაჩვენებლებიც — მათ 7,3 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის გაიაფების შედეგად 67 ათასი მანეთი დაზოგეს.

დროს მნიშვნელოვნად უსწრებენ ის სამთო უბნები, რომლებსაც უ. ლაბაძე, გ. ჭიტაძე, ვ. თევზაძე და ფ. აბრამიშვილი ხელმძღვანელობენ.

გამრავლებული ფარებით...

ლენინგორი. („კომუნისტის" საქ. კორ. გ. თედეევი). კასპიისპირეთის ზამთრის საძოვრებიდან სასიხარულო ცნობები მოდის. ცხვარმა კარგად გამოიზამთრა. წარმატებით დამთავრდა დოლიც. მიღებულია 38.000-მდე ბატკანი, შარშანდელთან შედარებით 5.000 სულით მეტი.

ნამატის მიღებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ლარგვისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეები. სარქლებმა ლ. შერმადინმა, შ. ზარიძემ, ს. შერმადინმა და სხვებმა მაღალ დონეზე მოაწყვეს დოლი და 100 პროცენტით შეინარჩუნეს ნამატი. ასევე სასახელოდ იშრომეს დადიანეთის, უკანამხარის კოლმეურნეობებისა და ლენინგორის საბჭოთა მეურნეობის მამაცმა მეცხვარეებმა.

ახლა ყიზლარში ცხვრის პარსვა მთავრდება. ეს საქმე ორგანიზებულად მიმდინარეობს ლარგვისის კოლმეურნეობაში. გამრავლებული ფარები დაიძრა კასპიისპირეთიდან, მშობლიური მთებისაკენ მიდის 120 ათასზე მეტი ცხვარი.

როგორ მიმდინარეობს სატრანსპორტო მშენებლობა

საქართველოში იმყოფებოდა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრი ამხ. ი. დ. სოსნოვი. იგი გაეცნო, თუ როგორ მიმდინარეობს სამუშაოები ამიერკავკასიის რკინიგზის მეორე ხაზის, რიკოთის უღელტეხილში გამავალი ავტოსაგზაო გვირაბის, თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის რეკონსტრუქციასა და სხვა ობიექტებზე. შეხვდა მუშებსა და სპეციალისტებს, გამოიკითხა მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, გამართა თათბირები „თბილისგვირაბმშენის" სამმართველოსა და ამიერკავკასიის „ტრანსმშენის" ტრესტში.

ამხ. ი. დ. სოსნოვი შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. ა. შევარდნაძეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს.

საქართველოში მოგზაურობისას ამხ. ი. დ. სოსნოვთან ერთად იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ა. ე. კოლბინი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ი. ი. ქიქიშვილი. (საქინფორმი).

• ვუბრუნდებით დაბეჭდილს •

ფართოდ დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება

მუშა იცავს ვალდებულებას

• ეს სიახლეც უნდა დაინერგოს!

სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „მოწინავე საწარმოებში, მაგალითად, ვოლგის საავტომობილო ქარხანაში წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ხარისხის ამაღლების საკითხების კომპლექსური გადაწყვეტის სასარგებლო გამოცდილება შეიძინეს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იგი ფართოდ გავრცელდება. ამას ხელი უნდა შეუწყოს კომკავშირმაც."

გაზეთ „კომუნისტის" 1978 წლის 17 მარტის ნომერში გამოქვეყნდა მასალები ვოლგის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის საინტერესო და ფრიად სასარგებლო გამოცდილებაზე. ამ გამოცდილებათა კომპლექსში დიდ ყურადღებას იმსახურებს სოციალისტურ ვალდებულებათა საჯარო დაცვის პრაქტიკა. აქ ყოველი მუშა, ბრიგადა, საამქრო, წარმოება იცავს სოციალისტური ვალდებულების პროექტს, რომელიც გამორიცხავს ფორმალიზმის ელემენტებს სოციალისტურ შეჯიბრებაში, საშუალებას იძლევა მჭიდროდ დავუკავშიროთ სოციალისტური ვალდებულება გეგმიურ დავალებას, მაქსიმალურად გამოვძებნოთ და გამოვიყენოთ წარმოების შიდარეზერვები, გავზარდოთ ყოველი მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი.

ვაზელთა გამოცდილების მაგალითზე სოციალისტურ ვალდებულებათა პროექტის დაცვის პრაქტიკის დანერგვა დაიწყო ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაურ საწარმოში. დაცვა პირველად მოეწყო № 1 საქსოვი საამქროს „ა" ცვლის № 2 და № 5 ბრიგადებში.

— ვაზელთა გამოცდილებას შემოქმედებითად მივუდექით, — ამბობს საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ხარაბაძე, — საქმე იმაშია, რომ ვაზში არსებულ ყველა ბრიგადაში შექმნილია საბჭო, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს დაცვას. ჩვენს პირობებში ყველა ბრიგადაში საბჭოს შექმნა მიზანშეწონილი არ არის. ამიტომ გადავწყვიტეთ ვალდებულებათა პროექტის დაცვის უზრუნველსაყოფად ორი ბრიგადის წარმომადგენელთა ერთი საბჭო შეგვექმნა. ძაფსალებ საამქროში კი ბრიგადები მრავალრიცხოვანია, და ვალდებულებათა დაცვაც ცალ-ცალკე ბრიგადების მიხედვით მოეწყობა.

ვოლგის საავტომობილო ქარხანაში ვალდებულებათა დაცვა მიმდინარეობს გასაუბრების სახით, მეგობრულ ვითარებაში, საერთო დაინტერესების ატმოსფეროში. მუშა კითხულობს სოციალისტური ვალდებულების პუნქტებს, რის შემდეგ საბჭო თავის შეფასებას აძლევს იმის მიხედვით, თუ რამდენად რეალურია მუშის მიერ შემოთავაზებული გეგმა.

ვალდებულებათა მიღების დროს ძირითადი მოთხოვნაა კონკრეტულობა, მრავალმხრივი ანალიზი, არც ერთი ზოგადი ფრაზა.

და აი, № 1 საქსოვ საამქროში ჩვენ ვესწრებით ვალდებულებათა პროექტის დაცვას. სიტყვა აიღო № 2 ბრიგადის მქსოველმა დალი სულაბერიძემ. იგი ერთ-ერთი მოწინავე მქსოველია, ერთდროულად 8 დაზგას ემსახურება, ამასთან საუკეთესო ხარისხის პროდუქციას ამზადებს. მისი გადაწყვეტილება ასეთია: **პირად წლიურ დავალებას შევასრულებ საბჭოთა კონსტიტუციის მეორე წლისთავისათვის — 7 ოქტომბრისათვის, გეგმის გადამეტებით მოვქსოვ 13 ათას მეტრ ქსოვილს; 3 პროცენტით გავზრდი პირველი ხარისხის პროდუქციის დამზადებას; პროფესიას შევასწავლი ერთ ახალგაზრდას, პირადად თვითონ მოვემზადები და მისაღებ გამოცდებს ჩავაბარებ ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, მეტ დაინტერესებას გამოვიჩენ საერთო წესრიგისათვის, როგორც საწარმოში, ასევე მის გარეთ.**

კომისიის წევრები მოითხოვენ ვალდებულების ცალკეული მუხლების დაზუსტებას. ერთი მათგანი კითხულობს — როგორ შეძლებს იგი გეგმის გადამეტებით გამოუშვას 13 ათასი მეტრი ქსოვილი?

— ჩვენთან ჩაწყვეტილი ძაფების აღდგენაზე ბევრი დრო იხარჯება, — თქვა დალი სულაბერიძემ, — კვალიფიკაციის ამაღლებით დროის ეს დანაკარგები, ვფიქრობ, 5 პროცენტით შევამცირო.

სიტყვას იღებს ცვლის უფროსი ა. ბრეგაძე.

— სწორია ამხანაგი დ. სულაბერიძე. მას შეუძლია და კიდევაც შეძლებს ჩაწყვეტილი ძაფების აღდგენაზე 5 პროცენტით მაინც შეამციროს სამუშაო დროის დანაკარგი.

შემდეგ კომისიის წევრები დაინტერესდნენ პროდუქციის ხარისხის საკითხით, გამოირკვა, რომ შარშან მქსოველმა გეგმით გათვალისწინებული 55 პროცენტის ნაცვლად აწარმოა 65 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქცია. მაშასადამე, აღებულ ვალდებულებაში კონკრეტულად უნდა იყოს ნაჩვენები ის ფაქტი, რომ იგი უზრუნველყოფს საერთო პროდუქციაში 68 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქციის წარმოებას.

ამ დღეს საჯაროდ დაიცვეს სოციალისტური ვალდებულებანი მქსოველებმა ღ. ხახიშვილმა, ნ. კამნიანმა, გ. ჩიტიძემ, ნ. ვაშაკიძემ, ?. ფაღუნაშვილმა, ქსოვის ინსტრუქტორებმა კ. მგელაძემ და ნ. გიგიშიძემ. თითოეული მუშის მიერ დაცული ვალდებულებების შეჯამებამ შეადგინა ბრიგადების საერთო ვალდებულებანი, დაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებები. ვალდებულებათა დაცვა გაიმართა აგრეთვე ძაფსალებ წარმოებასა და № 2 საქსოვ საამქროში. ბრიგადების, ცვლების, საამქროების, ცალკეული წარმოების კოლექტივების მიერ თანამიმდევრობით დაცულ ნაკისრ ვალდებულებათა ჯამი საფუძვლად დაედო საწარმოო გაერთიანების საერთო ვალდებულებას.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის" საქ. კორ.

რედაქციისაგან: **გამოცდილება არის, მაგრამ ფართოდ ვნერგავთ თუ არა?**

საყოველთაოდ ცნობილია ქუთაისის მრეწველობის მუშაკთა წარმატებანი. ინფორმაციის ყველა საშუალებით გვესმის, თვალნათლივ ვხედავთ იმ დიდ შრომით ენთუზიაზმს, რომელსაც ქუთაისელები იჩენენ მეათე ხუთწლედის — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის ამოცანების გადაჭრაში. გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფო დავალებანი, სისტემატურად იზრდება საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წილი. ცხადია, ყოველივე ეს თავისთავად არ მოსულა. ამ საპატიო საქმეში განუზომელია საქალაქო პარტიული ორგანიზაციის, მისი ხელმძღვანელი ბირთვის — პარტიის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა.

მაგრამ ერთიც უნდა ითქვას. ინდუსტრიულ ქუთაისს გაცილებით უკეთესი შედეგი ექნებოდა, რომ სამრეწველო საწარმოთა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფრო ქმედითი დაინტერესება გამოეჩინა ვოლგის საავტომობილო ქარხნის მდიდარი და მეტად ეფექტიანი გამოცდილების ქალაქის მრეწველობაში ოპერატიული დანერგვისადმი. რომელიც სამწუხაროდ, ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ამხანაგი ი. ბ. ტიტო სამშობლოში გაემგზავრა

21 მაისს სამშობლოში გაემგზავრა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე იოსიპ ბროზ ტიტო, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით იყო სსრ კავშირში მეგობრულ ვიზიტად და ხანმოკლე დასვენებისათვის. ი. ბროზ ტიტოსთან ერთად გაემგზავრნენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ს. დოლანცი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო მდივანი ი. ვრხოვეცი და სხვა ოფიციალური პირნი.

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ი. ბროზ ტიტო გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ვ. რუსაკოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქტასი).

სურათზე: დიდი სამამულო ომის წლებში დაღუპულ მეომართა დიდების მემორიალი.
ი. ჟოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გმირთა უკვდავება

ქალაქ ფოთში გაიხსნა სამამულო ომში დაღუპულთა დიდების მემორიალი

მალთაყავაში, შავი ზღვის, მდინარე კაპარჭისა და პალიასტომის ტბის შესაყარზე აშენდა ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი — დიდ სამამულო ომში დაღუპულთა უკვდავების, მათი დიდების მემორიალი. საკურორტო ზონის ხუთი ჰექტარი ფართობი ამ ჯადოსნურ გარემოში შემთხვევით როდი აირჩიეს მონუმენტის ავტორებმა — საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელმა და არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ.

მარადიული უკვდავების ეს მემორიალი აზრით ტევადი, ფორმით ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებია. იგი წარმოადგენს სივრცობრივ კომპოზიციას, სადაც გმირთა უკვდავების ძირითადი თემა გადმოცემულია ობელისკებად ქცეულ ზღვის სამ ტალღას შორის მოქცეული კოლხი ჭაბუკის განზოგადებული სახით.

სამშობლოს დასაცავად წასული 7386 ფოთელიდან მშობლიურ კერას 2500 ვაჟკაცი არ დაბრუნებია. მათი გვარები ლამაზად არის ამოკვეთილი 110 გრანიტის ქვაზე.

მემორიალისათვის საჭირო კონსტრუქციები და თვით ტალღები ლილოს საჩამოსხმელო კომბინატში დამზადდა. კოლხი ჭაბუკის ბრინჯაოს ქანდაკებაც იქ ჩამოასხეს.

20 მაისს ფოთში დიდი ხალხმრავლობა იყო. საზეიმოდ მორთული ქალაქი სტუმრებს გულღიად მასპინძლობდა. ვის არ ნახავდით აქ — სევასტოპოლის, სიმფეროპოლის, ნოვოროსიისკის გმირ დამცველთა წარმომადგენლებს, თბილისელ, ქუთაისელ, აფხაზ, აჭარელ სტუმრებს, დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ მუშაკებს.

ზეიმი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. საჯაიამ. სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა, ქალაქ ფოთის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ, გაზეთ „ახალი კოლხეთის" რედაქტორმა ა. ტიკარაძემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ნ. ვორონოვმა (მოსკოვი), № 12 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა, სამამულო ომში დაღუპულის შვილმა ი. ნარმანიამ და სხვებმა.

მემორიალში თავდახრილი შემოდიან სამამულო ომში დაღუპულთა დედები, დები, ახლო ნათესავები, ომის ვეტერანები, მეზღვაურები, პიონერები, ახალგაზრდები, რომლებიც წუთიერი დუმილის შემდეგ თაიგულებით ამკობენ მემორიალს და ომში დაღუპულთა საფლავებს.

პიონერები, კომკავშირელები, ქალაქის ახალგაზრდები ფიცს დებენ — გადააქციონ მალთაყავა გმირთა ხსოვნის სავანედ, კომკავშირულ-ახალგაზრდული ზეიმები მოაწყონ ამ წმინდა ადგილზე და იყვნენ სწავლისა და შრომის ფრიადოსნები, სამშობლოს პატრიოტები, მისი გმირი დამცველები და მამათა ღირსეული მემკვიდრენი.

ზეიმზე მოეწყო ქორწილი და დიდი კომპოზიციური სალამო. ერთმანეთს ცვლიდნენ ქალაქის დიდი საწარმოების, სკოლების, ტექნიკუმების, პროფტექნიკური სასწავლებლების მუსიკალურ-ქორეოგრაფიული, ვოკალურ-ინსტრუმენტული და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები. სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ბ. წიფურია, ტექსტის ავტორი — საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, პოეტი დ. ჭიარძავა, კომპოზიტორი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ბობოხიძე.

ზ. ნოდია,
„კომუნისტის" საქ. კორ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

პარტიული ცხოვრება: კადრები—კომპეტენტურობა, ნდობა, პასუხისმგებლობა

მეტი დაკვირვებას ნაკლები შეცდომა მოსდევს

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელზე, მის კომპეტენტურობაზე, ცოდნაზე, იმაზე, თუ როგორი კეთილსინდისიერებით, მონდომებით, ინიციატივითა და სიყვარულით ეკიდება მინდობილ საქმეს, ბევრად არის დამოკიდებული იმ შრომითი კოლექტივის წარმატება, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს.

ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც გაგრის ზონის სოფელ მიხადირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საქმიანობას გავეცანით. იგი ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი მოწინავე იყო. გამგეობის თავმჯდომარე მ. ზადიკიანი კეთილსინდისიერად, ინიციატივიანად უძღვებოდა საქმეს და მიხადირელები მუდამ პირნათელი გამოდიოდნენ სამშობლოს წინაშე. მაგრამ შემდგომში თავმჯდომარემ რატომღაც დაკარგა ხელმძღვანელის ეს დადებითი თვისებები, თვითდამშვიდებასა და თვითკმაყოფილებას მიეცა, კოლმეურნეობაში შესუსტდა დისციპლინა, მომთხოვნელობა, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობა... ყოველივე ამის შედეგად ეს ბოლო ორი წელიწადია მიხადირელები ვეღარ ასრულებენ თამბაქოსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამზადების გეგმებს.

პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტში ბევრჯერ გააფრთხილეს მ. ზადიკიანი, პრაქტიკულადაც ბევრჯერ დაეხმარნენ. შარშან ზაფხულში კოლმეურნეობაში პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გამსვლელი სხდომაც მოეწყო, ბიურომ კონკრეტული ღონისძიებები დასახა, თავმჯდომარეს საყვედური გამოუცხადა, მაგრამ... ბოლოს მ. ზადიკიანი პარტიული სასჯელით სამუშაოდან გაათავისუფლეს.

ხელმძღვანელი მუშაკის მოხსნა ან განთავისუფლება, ცხადია, უკიდურესი ღონისძიებაა. ამიტომ პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტი ცდილობს არ მიიყვანოს საქმე აქამდე, იგი გულისყურით ეკიდება კადრებთან მუშაობის, მათი აღზრდისა და განაწილების, სისტემატური სწავლების მეტად მნიშვნელოვან საქმეს. სწორედ კადრებთან ასეთი მუშაობის შედეგია, რომ ქალაქში ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი საქმის ცოდნით და წარმატებით ასრულებს მოვალეობას.

მაგალითად, აგერ უკვე ოც წელზე მეტია, რაც რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი გ. ხასია საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 3 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსად მუშაობს. სამმართველოს კოლექტივი მუდამ გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად ასრულებს გეგმებს და მინდობილ სამუშაოს. ან ავიღოთ თუნდაც № 8 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ყოფილი უფროსი კომუნისტი ა. ფრუიძე, რომელიც ახლახან პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის რეკომენდაციით სხვა რეგიონის ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელად დააწინაურეს. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე პარტიის საქალაქო კომიტეტმა იგი ორჯერ გაგზავნა სამუშაოდ ყველაზე ჩამორჩენილ სამშენებლო ორგანიზაციაში და მან ორივეჯერ წარმატებით გაართვა თავი საქმეს, მისი ხელმძღვანელობით ეს ადრე ჩამორჩენილი კოლექტივები მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ. სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტს რ. ბგანბას შარშან პარტიის საქალაქო კომიტეტმა სოფელ ლიძავის კოლმეურნეობა „კიარაზის" თავმჯდომარედ არჩევის რეკომენდაცია მისცა და არც შემცდარა — კოლმეურნეობაში მდგომარეობა თვალსაჩინოდ გამოსწორდა. ჩელუსკინელების სახელობის სანატორიუმს დამსვენებლები მუდამ კმაყოფილი რომ ტოვებენ, ეს მისი მთავარი ექიმის გ. გეგეჭკორის დამსახურებაც არის, რომლის ღვაწლი ახლახან საკავშირო პროფსაბჭოს საპატიო სიგელით აღინიშნა.

კიდევ ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რაც, ცხადია, კადრებთან პარტიის საქალაქო კომიტეტის სწორ მუშაობაზეც მეტყველებს, მაგრამ ნაკლოვანებანი ჯერჯერობით მაინც ბევრი და სერიოზულია.

მაგალითად, ამ ოთხიოდე წლის წინათ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გაგრის № 16 სამშენებლო ტრესტის მმართველი ო. ქუჩავა სერიოზული დარღვევებისათვის სამუშაოდან გაათავისუფლეს. მოსალოდნელი იყო, რომ ამ თანამდებობაზე შეარჩევდნენ ღირსეულ კანდიდატურას, რომელიც გამოასწორებდა საქმეს, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ტრესტის მმართველად დანიშნეს მ. უსტიაშვილი, რომელიც მანამდე ბათუმში ასეთსავე თანამდებობაზე მუშაობდა და სერიოზული ჩავარდნებიც ჰქონდა. გაგრაში მან კიდევ უფრო „დახვეწა" ხელმძღვანელობის საკუთარი არასასურველი მეთოდები, უგულებელყოფდა კოლექტივის აზრს, უხეშად არღვევდა კადრების შერჩევა-განაწილების ლენინურ პრინციპებს.

მაგალითად, მან ბათუმიდან მოიწვია და ტრესტის მცირე მექანიზაციის სამმართველოს უფროსად დანიშნა ადრე ნასამართლევი ვინმე ვ. აგიბალოვი, რომელმაც მრავალი ბოროტმოქმედება ჩაიდინა, დაბა ბიჭვინთაში ურიგოდ მიიღო ოროთახიანი ბინა, სახელმწიფო მანქანები მიჰყიდა კერძო პირებს. მ. უსტიაშვილმა ბათუმიდანვე მოიყვანა და უკანონოდ ჩაასახლა ოროთახიან ბინაში მძღოლი ბ. აბიდბა. იგი რამდენიმე ადგილას ფიქციურად იყო გაფორმებული, მაგრამ ყველგან მთლიან ხელფასს იღებდა. ამ გზით მან 5 ათას მანეთზე მეტი ჩაიჯიბა. სამაგიეროდ მ. უსტიაშვილი ზოგჯერ ავიწროებდა პატიოსან მუშაკებს. მაგალითად, მან სულ რაღაც ერთ წელიწადში სხვადასხვა მოტივით შვიდჯერ დაწერა ბრძანება ტრესტის მმართველის მოადგილის ე. ჯანგველაძის, ამ გამოცდილი ინჟინრის განთავისუფლების თუ გადაყვანის შესახებ. ყველა ეს უკანონო ბრძანება გააპროტესტა აფხაზეთის ასსრ პროკურატურამ. მ. უსტიაშვილის მუშაობის პერიოდში ტრესტში გამოვლინდა მრავალი წამატება, დარღვევა, სხვადასხვა ბოროტმოქმედება. ზარალმა ნახევარ მილიონ მანეთს გადააჭარბა. ამ საქმეს გაგრის პროკურატურა იძიებს.

მოსალოდნელი იყო, რომ ყოველივე ამას პრინციპულად შეაფასებდა პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის ბიურო, რომელმაც შარშან განიხილა „კურორტმშენის" ტრესტში გამოვლენილი დარღვევები და ბოროტმოქმედებანი, მაგრამ... მ. უსტიაშვილმა თავი დააღწია სასჯელს და უმალვე საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სატრანსპორტო სამმართველოს უფროსის სავარძელი დაისაკუთრა (?!)... რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

კომუნისტი ხელმძღვანელისათვის შეუფერებლად იქცეოდა აეროფლოტის გაგრის სააგენტოს უფროსი ბ. ავჯიანიც, რომელიც ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას. იგი დაუპირისპირდა კოლექტივს, უხეშად ეპყრობოდა თანამშრომლებს, თავიდან იცილებდა მისთვის არასასურველ მუშაკებს და მათ ნაცვლად ნათესავები და ნაცნობები მოჰყავდა. ამჟამად სააგენტოს 32 მუშაკიდან თითქმის ნახევარი მისი ნათესავი ან ახლობელია. მან სხვადასხვა მაქინაციებით „კურორტმშენის" ტრესტის საუწყებო სახლში სამოთახიანი ბინა მიიღო და, თუმცა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ეს უკანონო ოპერაცია არ გააფორმა, ბ. ავჯიანი აგერ უკვე მეოთხე წელია უორდეროდ ცხოვრობს ამ ბინაში (?!). აღნიშნული დარღვევებისათვის პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მას მკაცრი პარტიული სასჯელი დაადო.

ცნობილია, რომ წარმატებული მუშაობისათვის საფუძვლიანად უნდა იცნობდე იმ საქმეს, რომელსაც ემსახურები, მაგრამ როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, პიროვნების შეუსწავლელად, მისი ორგანიზატორული თვისებების გაუთვალისწინებლად, მხოლოდ საანკეტო მონაცემებზე დაყრდნობით მუშაკის დაწინაურების პრაქტიკა ძალიან ხშირად ვერ მართლდება. ასე მოხდა, მაგალითად, როცა პარტიის საქალაქო კომიტეტის რეკომენდაციით სოფელ კოლხიდის მებოსტნეობის ჩამორჩენილი მეურნეობის დირექტორად დაინიშნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. სოკოლოვი, რომელსაც საკანდიდატო დისერტაცია სწორედ მებოსტნეობის დარგში ჰქონდა დაცული. მან თავი ვერ გაართვა საქმეს და ბოლოს გაათავისუფლეს.

ბევრი მტკიცება არც იმას სჭირდება, რომ საშუალო რგოლის კვალიფიციურ სპეციალისტებზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. გაგრის ზონაში ამ მხრივ მდგომარეობა, თამამად შეიძლება ითქვას, სახარბიელო არ არის. თვით განსაჯეთ: უმაღლეს ან საშუალო სპეციალურ განათლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, აქ კოლმეურნეობების ბრიგადირთაგან მხოლოდ 15 პროცენტს აქვს საშუალო განათლება. მეცხოველეობის ფერმებსაც აკლია მომზადებული გამოცდილი სპეციალისტები. ბევრგან არ არის შექმნილი პარტიული ორგანიზაციები, პარტჯგუფები, სუსტია პარტიული ფენა მეცხოველეთა შორის. ყოველივე ამის გამო გაგრელები თანდათანობით თმობენ მეცხოველეობაში ადრე მოპოვებულ პოზიციებს.

გაგრა, უპირველეს ყოვლისა, საქვეყნოდ სახელგანთქმული კურორტია, სადაც ყოველწლიურად ასიათასობით კაცი მკურნალობს და ისვენებს. ამიტომ სამედიცინო კადრებით მისი უზრუნველყოფა დიდმნიშვნელოვანი საკითხია. ამ მიზნით გაგრაში გაიხსნა სოხუმის სამედიცინო სასწავლებლის ფილიალი, რომელიც წელს კურსდამთავრებულთა პირველ ნაკადს გამოუშვებს. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროების კვალიფიციური მუშაკებით დაკომპლექტებასაც...

დიახ, გაგრაში კადრებთან მუშაობაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტია. საერთოდ, პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი კადრებთან მუშაობის, კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების მწყობრი სისტემა, ძალიან მცირეა დასაწინაურებელი კადრების რეზერვი, აქ ნაკლებად აბამენ მუშაობაში ახალგაზრდა სპეციალისტებს, ჯეროვნად არ ხელმძღვანელობენ და არ ეხმარებიან მათ, არ უქმნიან სათანადო საქმიანი და პროფესიული თვისებების სრულად გამოვლენის პირობებს.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა, ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ამ საკითხებს.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ვეტერანი კვლავ მწყობრშია



მორიდებით მივადექით მწვანე ეზოში ბეჭდის თვალივით ჩასმულ წითელი აგურის სახლს, საიდანაც თმაშევერცხლილი კაცი გამოგვეგება. ალექსანდრე მარუაშვილს რვა ათეული წლის სიმძიმე აწევს მხრებზე.

სტუმარ-მასპინძლური მოკითხვის შემდეგ გაიბა თბილი საუბარი, ვთხოვეთ განვლილი ამბები მოეგონებინა.

— წარსულის გახსენება რამდენადმე სარისკოა, — ღიმილით ამბობს ალექსანდრე, — დროთა შემდეგ მოვლენები სხვადასხვარად ჩანს, ტრაგიკულიც კი, რაც უნდა მძიმე იყოს, მსუბუქ ელფერს იძენს და იმ თაობას, რომელსაც იგი უშუალოდ არ განუცდია, შეიძლება სასაცილოდაც მოეჩვენოს... ისე კი ჩვენი ცხოვრება ისე სწრაფად წავიდა წინ, ისე ამაღლებული და გრანდიოზული გახდა, რომ თვითონვე გაგიწყებს განვლილ სიმწარეს.

ახლა კი ერთ ამბავს გიამბობთ, თავის დროზე ამის გამო ბევრი ვნებათა ღელვა ატყდა, ბევრმა ღვარა ცრემლი...

ეს იყო 1929 წელს. მშობლიურ სოფელ ლვანკითში (თერჯოლის რაიონი) პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელი ჩამოვაყალიბეთ და მას „ძმობა" დავარქვით, თავმჯდომარედ მე ამირჩიეს. „ძმობა" კი ერქვა, მაგრამ ძმობისა და ერთიანობის გემო მაშინ ნაკლებად გვესმოდა. ერთი-ორი ბოგანო მოგვეკიდა, მერე „მდიდრებმაც" გაბედეს, პირველად შვიდიოდე ოჯახი გაერთიანდა თითო უღელი ხარით და ათიოდე ჰექტარი მიწით.

ხდებოდა ხოლმე ისეთი ამბებიც, როცა ავის და კარგის გარჩევა შეუძლებელი იყო. რომელიღაც უწყებიდან უცნაური ბრძანება მივიღეთ, მთელ სოფელში ხეები უნდა გაგვეჩეხა. როცა დავეჭვდით, ასე დაგვისაბუთეს: — ხეები ძირითადად გაშენებულია ეზოებსა და საკუთარი ნაკვეთების ნაპირებზე. ამიერიდან მიჯნები ისპობა, ეზოები საერთო იქნება, ამიტომ ხეები უნდა აიჩეხოს. ცხადია, ეს უაზრობა იყო, არ შევასრულეთ სულელური ბრძანება, მკაცრადაც დამსაჯეს, დამატეხეს თავს რისხვა, მაგრამ ბოლოს მაინც კმაყოფილი დავრჩით. იმ წელიწადს ახლომახლო სოფლები აჩეხილს დაემსგავსა, ჩვენი სოფელი კი ლამაზი თაიგულივით გამოიყურებოდა. ხეების აჩეხვის ინიციატორები შემდეგ დასაჯეს, მაგრამ წამხდარ საქმეს რაღა ეშველებოდა.

იმ პერიოდში სულ ერთთავად ცხენზე ვიყავით ამხედრებული, უნაგირი იყო ჩვენი მაგიდა და ცხენის ზურგი — კაბინეტი. მაგრამ რაკი ვგრძნობდით, რომ დიდ სახალხო საქმეს ვაკეთებდით, არავინ წუწუნებდა, არავინ უჩიოდა გაჭირვებას, არც მანქანა-იარაღების უქონლობას დააბრალებდა ვინმე საქმის ჩაშლას... დიდი ენთუზიაზმით ვაშენებდით ახალ ცხოვრებას.

შემდეგ დაიგეგმა ჩვენი ეკონომიკა, მისი განვითარება, უფრო სწრაფი გზით ვიწყეთ წინსვლა. ცხოვრებამ ახალი სარბიელი გვიჩვენა. ქვეყანას კადრები სჭირდებოდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მივაშურე, ეკონომიკა-დაგეგმვის ფაკულტეტი დავამთავრე და მის შემდეგ მრავალ უბანზე ვწევდი ჭაპანს, დიდხანს ვიმუშავე რესპუბლიკის განათლებისა და კვების მრეწველობის სამინისტროებში.

და აი, დღეს, პირველი ხუთწლედების 50 წლისთავზე წარსულს თვალს რომ ვავლებ, ნათლად ვხედავ, თუ რანი ვიყავით და რანი გავხდით. ომის წინა წლებში ლვანკითის კოლმეურნეობას ერთი ტრაქტორი და ერთი ტონანახევრის ამწეობის მანქანა ჰყავდა, ახლა მის ბაზაზე შექმნილ მევენახეობის მეურნეობას ასამდე ტრაქტორი, კომბაინი და სატვირთო მანქანა აქვს. სამუშაოთა მეტი წილი მექანიზმებით სრულდება.

ალექსანდრე მარუაშვილი პენსიონერია, მაგრამ უშრომლად რა გააჩერებს, ვეტერანი კვლავ მწყობრშია. სოფელს მხარში უდგას, საჭირო დროს რჩევითაც და საქმითაც ეხმარება.

შრომაში ალექსანდრეს ტოლს არც მეუღლე თამარი უდებდა. იგი იყო ლვანკითში პირველი სტახანოველი ქალი.

ოჯახიც სახელოვანი აქვთ. სამივე შვილმა მიიღო უმაღლესი განათლება, ისინი წარმატებით იღვწიან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე. მშობლების კვალს მიჰყვებიან შვილიშვილებიც, რომლებმაც სტუდენტური ესტაფეტა მიიღეს.

...გვიან ღამემდე გამოკრთის შუქი ალექსანდრე მარუაშვილის ფანჯრიდან. ის ნამდვილი ადამიანი დღისაც კითხულობს და სწავლობს, განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურით არის გატაცებული, წერს მოგონებებს.

დ. ბიწაძე,
(საქინფორმის კორ.)

„კომუნისტი" ეძიებს რეზერვებს

ზღვის ზღვა საზრუნავი

ცნობილია, რომ სათანადო ტექნოლოგიის გამოუყენებლად, ქაოსურად მოპოვებული ხრეში მკვეთრად აუარესებს საშენი რკინა-ბეტონისა და ბეტონის პროდუქციის ხარისხს. ამავე დროს, ხრეშის დეფიციტის გამო კარიერების მოწყობას ხელს ჰკიდებენ ამ საქმისათვის მოუმზადებელი, სუსტი ტექნიკური ბაზის მქონე ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც „გადათხრილ" ფართობებს ყოველგვარი რეკულტივაციის გარეშე ტოვებენ, ხოლო გამომუშავებულ სიცარიელეებში ჩამდგარი წყალი ანტისანიტარიის კერებს წარმოშობს.

მიუხედავად ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა, შავი ზღვის სანაპირო ზონასა და მასში ჩამდინარე მდინარეთა კალაპოტებთან ხრეშის დამზადების აკრძალვის შესახებ, ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაცია კვლავაც განაგრძობს ინერტული მასალების მოპოვებას აკრძალულ უბნებზე, რასაც ყველა ზემოჩამოთვლილთან ერთად, კიდევ ერთი დიდი ზიანი მოაქვს — იზრდება ზღვის სანაპირო ზოლის დაცვის ღონისძიებათა მოცულობა.

იმის გამო, რომ რესპუბლიკაში არ არის საკმაო სიმძლავრის საკარიერო მეურნეობანი, დღემდე ვერ მოხერხდა შავიზღვისპირეთის დეგრადირებული პლაჟების აღდგენა მისი ხელოვნურად მოზიდული ხრეშით შევსების გზით. ამიტომ კვლავ გრძელდება ნაპირის ლოკალური უბნების დაცვა უწყებრივი პრინციპით, ძვირად ღირებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების გამოყენება. ასეთი „გამაგრება" კი არა მარტო ამახინჯებს სანაპიროს საერთო ლანდშაფტს, არამედ ხშირად მომიჯნავე უბნების ნაპირის ინტენსიურ გარეცხვასაც იწვევს.

მაშასადამე, გამოდის, რომ რაც უფრო კარგად დავიცავთ ნაგებობებით სანაპიროს ამა თუ იმ მონაკვეთს, მით უფრო გაიზრდება სანაპიროს გარეცხვის საერთო სიგრძე.

მართლაც, 10 წლის მანძილზე, მიუხედავად ყოველწლიურად განხორციელებული ზღვის სანაპიროს დაცვის ფართო სამუშაოებისა, მისი გარეცხვის საერთო სიგრძე 155-დან 183 კილომეტრამდე გაიზარდა, რაც რესპუბლიკის მთელი შავიზღვისპირეთის საერთო სიგრძის 60 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს უწყებების ხაზით, შავიზღვისპირეთის დაცვის სამუშაოების კაპიტალური დაბანდებანი ყოველწლიურად, დაწყებული 1979 წლიდან, 3,0 მილიონი მანეთიდან 6-10 მილიონამდე გაიზრდება. ამ თანხის ათვისება სამინისტროს გაუძნელდება, ვინაიდან დღეისათვის არ არსებობს ამ მოცულობის შესაბამისი ნაპირგასამაგრებელ სამუშაოთა საპროექტო დოკუმენტაცია, ხოლო საზღვაო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამშენებლო სპეციალიზებული ტრესტი „ნოვოროსიისკზღვამშენი" უარს ამბობს საიჯარო სამუშაოთა გეგმის 3,25 მილიონ მანეთზე მეტად გაზრდაზე. ამიტომ სამინისტრო სისტემატურად აყენებს საკითხს ტრესტ „ნოვოროსიისკზღვამშენის" და კავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის საპროექტო ინსტიტუტის მიერ ჩვენს რესპუბლიკაში ზღვის სანაპიროს დაცვის სამუშაოების მკვეთრი გაფართოების თაობაზე. საკითხის ასეთი გზით გადაწყვეტა სწორად არ მიგვაჩნია.

სად არის გამოსავალი? ამ დარგში მომუშავე მეცნიერებისა და სპეციალისტების აზრით, საჭიროა ზღვის სანაპიროს დაცვის ტექნიკური პოლიტიკის ძირფესვიანი შეცვლა და ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ბუნებრივი დადებითი პროცესების გაძლიერებას.

ზღვის სანაპიროს წარეცხვა საქართველოს შავიზღვისპირეთის პირობებში ხდება, მაშინ, როდესაც დარღვეულია წონასწორობა ზღვის ტალღებით საპლაჟე მასალის სანაპიროს გასწვრივ გადაადგილების და მდინარეთა მიერ ნაპირზე შემოტანილი ხრეშის მოცულობებს შორის (ამის მიზეზი მრავალია — ხრეშის ამოღება ნაპირიდან და მდინარეებიდან მშენებლობისათვის, კანიონების გავლენა, ნაპირდამცავ ან სანავსადგურო ნაგებობათა მოქმედება, მდინარეებში კაშხალების მშენებლობა და მდინარეთა წყალუხვობის შემცირება მორწყვის, წყალმომარაგების, გადაგდების დროს და სხვ.). თითოეული დიდი მდინარე (მზიმთა, ბზიბი, ჭოროხი, რიონი, ენგური და სხვ.) ავსებს და აახლოებს პლაჟებს სანაპიროს გარკვეულ მონაკვეთებში, რომელთა სიგრძე ათობით კილომეტრით განიზომება, ე. ი. ქმნის ნაპირის შევსების დამოუკიდებელ დინამიკურ სისტემებს. იმ შემთხვევაში, თუ დეფიციტურ საწყის უბნებზე (რომლებიც, უწყებათა ობიექტების საზღვრებს გარეთ მდებარეობენ) ხელოვნურად მოხდება ბუნებრივის მსგავსი ან უფრო მსხვილმარცვლოვანი მასალით პლაჟების შევსება, მთელი სანაპირო დინამიკური სისტემის ფარგლებში სტაბილური გახდება, რადგან შეიქმნება ნატანი მასალის სიუხვე და მთელი ტალღური ენერგია დაიხარჯება ნატანის სანაპიროს გასწვრივ გადაადგილებაზე ღელვის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ პლაჟი მარტო ზღვისპირა ქალაქებისა და კურორტების აუცილებელი ელემენტი არ არის, იგი სანაპიროს დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

მიუხედავად ამისა, ზღვის სანაპიროს დაცვის მიზნით დღემდე არ მოხერხდა ძვირად ღირებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების ნაცვლად, ინერტული მასალების კარიერების და მათი ზღვის სანაპიროს საჭირო წერტილამდე ტრანსპორტირების საშუალებათა მშენებლობის ფართოდ გაშლა. ინერტული მასალების მძლავრი საკარიერო მეურნეობების მოწყობა ეკონომიკურად არ არის ხელსაყრელი მარტო სანაპიროს დაცვის მიზნით, ვინაიდან პირველი 2 წლის შემდეგ (ე. ი. პლაჟების აღდგენის შემდეგ), კარიერზე გამომუშავებული პროდუქცია 5-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე პლაჟების ხელოვნური შევსებისათვის საჭირო ყოველწლიური მოცულობანი. ამიტომ ასეთი მსხვილი საკარიერო მეურნეობანი მიზანშეწონილია შეიქმნას ზღვის სანაპიროს დაცვის სამუშაოთა შემსრულებელ და საშენი მასალებით დაინტერესებულ უწყებათა წილობრივი მონაწილეობით, რაც ამ ღონისძიებას ორივე მხარისათვის ხელმისაწვდომს გახდიდა.

ზღვის სანაპიროს დაცვის ტექნიკური პოლიტიკის ძირფესვიანი შეცვლა და მისი მჭიდრო დაკავშირება მშენებლობის ინერტული მასალით უზრუნველყოფის პრობლემასთან მოითხოვს საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს დაცვის არსებული გენერალური სქემის კორექტირებას, რომლის საფუძველიც უკვე შექმნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტმა.

აღნიშნული ინსტიტუტის სქემა ითვალისწინებს ჰიდროტექნიკური ნაგებობებით ზღვის სანაპიროს დაცვის მკვეთრ შემცირებას (რაც გამორიცხავს ტრესტ „ნოვოროსიისკზღვამშენის" სამუშაოთა მოცულობის ზრდას); ღონისძიებათა 80 პროცენტი ითვალისწინებს პლაჟების ხელოვნური გზით აღდგენასა და მათ სისტემატურ შევსებას.

დასაბუთებულია, რომ თუ მდინარე ჭოროხის ნაპირზე შესართავიდან ჩრდილოეთით 2 კილომეტრის დაშორებით ხელოვნურად მიზიდული იქნება ყოველწლიურად 100 ათას კუბურ მეტრამდე, ხოლო სამხრეთით 1 კილომეტრზე 20-30 ათასი კუბური მეტრი მდინარეული მასალა, იქ არსებული ინერტული მასალების ქარხნის სიმძლავრე შეიძლება გაიზარდოს 3-5-ჯერ, სტაბილური გახდება სოფელ გონიოსა და ჭოროხი-ბათუმის ნაპირი, რომელიც ამჟამად ირეცხება.

მძლავრი კარიერის მოწყობა შეიძლება ენგურის ნაკალაპოტებშიც (62 კილომეტრი), რისთვისაც საჭიროა შედგეს მდინარე ენგურის კალაპოტების არქიტექტურულ-ლანდშაფტური დაგეგმარება.

ამ ფართო მასშტაბის საინჟინრო-ტექნიკური პროგრამის ხორცშესხმას დიდად სასარგებლო შედეგები შეუძლია მოგვცეს.

კერძოდ, საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს უდიდეს ნაწილში აღდგება მისი ბუნების მთავარი ელემენტი — ფართო პლაჟები, რომლებიც უზრუნველყოფს სანაპიროს და იქ მდებარე ობიექტების უშიშროებას. არსებული ნაპირსაცავი ნაგებობების ნაწილი დროთა განმავლობაში დაიმარხება ნატანი მასალის ქვეშ, ხოლო მეორე ნაწილი, სტაბილური პლაჟების შექმნის შემდეგ თანდათანობით იქნება დემონტირებული.

დასავლეთ საქართველოში შეიქმნება ინერტული მასალების ორი მსხვილი საკარიერო მეურნეობა — ენგურისა და ჭოროხისა, მათი წლიური სიმძლავრე შესაბამისად იქნება 2 და 1,5 მილიონი კუბური მეტრი, რაც საშუალებას მოგვცემს მშენებლობის პროექტებში შევიტანოთ ინერტული მასალების რეალური ღირებულება, ხოლო სამშენებლო ორგანიზაციებს ხრეში გაუნაწილდებათ ცენტრალიზებული წესით.

გარდა აღნიშნული კარიერებისა, ხრეშის დამუშავება აიკრძალება დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამით თავიდან ავიცილებთ ლანდშაფტის დამახინჯებას, ანტისანიტარიული კერების შექმნას, ვარგისი მიწის ფონდის შემცირებას, ხოლო მშენებლობისათვის გამოყენებული იქნება მხოლოდ კონდიციური ხრეში, რაც მკვეთრად გაზრდის ბეტონისა და რკინა-ბეტონის პროდუქციის ხარისხს.

თუ დღემდე სანაპიროს დასაცავად ინერტული მასალა შეგვქონდა სანაპირო ზონაში ბეტონისა და რკინა-ბეტონის სახით, მომავალში შევიტანთ მხოლოდ ხრეშს, ე. ი. დაიზოგება ცემენტი, ლითონი და ძვირად ღირებული საზღვაო ტექნიკური საშუალებები.

საბოლოოდ, მიღებული იქნება დიდი ეკონომიკური ეფექტი, თუნდაც იმიტომ რომ, მაგალითად, ენგურის კარიერის მოწყობის ღირებულება (დაახლოებით 10-15 მილიონი მანეთი) 4-6 გრძივი კილომეტრი ზღვის სანაპიროს დაცვის ღირებულების ტოლფასოვანია (საშუალოდ 1 კილომეტრის გამაგრება ნაგებობებით 2,5 მილიონი მანეთი ჯდება), რომ არაფერი ვთქვათ თვით ბუნებრივ გარემოს გაუმჯობესების უდავოდ ეფექტიან შედეგზე.

ა. კიკნაძე,
საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

გზის „მკურნალები"

ათას კილომეტრზე მეტი გზები სერავს გეგეჭკორის რაიონს. ამ გზების მდგომარეობას თვალყურს ადევნებს ამიერკავკასიის „მშენმანქანავტომატიზაციის" ტრესტის საწარმოო საგზაო უბნის კოლექტივი. იგი დროულად აწარმოებს აღდგენითსა და სარემონტო სამუშაოებს.

დამთავრდა ასფალტ-ბეტონის ქარხნის მშენებლობა, სადაც უკვე მოწყობილობას ამონტაჟებენ. ახალი საწარმო, რომლის საათობრივი მწარმოებლობა 25 ტონა ასფალტ-ბეტონია, მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა. ეს გზის მუშაკებს საშუალებას მისცემს უფრო სწრაფად და კარგად შეაკეთონ ხოლმე რაიონული ტრასები.

სურათზე: (მარცხნიდან): გეგეჭკორის საწარმოო საგზაო უბნის მთავარი ინჟინერი ელდარ დანელია, ამიერკავკასიის „მშენმანქანავტომატიზაციის" ტრესტის ქუთაისის საგზაო უბნის მემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ნიკოლოზ ნაზაროვი და მემონტაჟე ივანე მიმინოშვილი გზის შეკეთების გეგმას ამუშავებენ.

ი. ჯოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

თუ ხელმძღვანელის სავარძელში ზიხარ...

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. კინკლაძე.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ სტატიაში „თუ ხელმძღვანელის სავარძელში ზიხარ" სხვა კრიტიკულ შენიშვნებთან ერთად აღნიშნული იყო გარდაბნის რაიონის მარტყოფის სკოლა-ინტერნატში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობა, რისთვისაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მკაცრად დასაჯა როგორც ამ ინტერნატის ხელმძღვანელები, ისე სხვა კონკრეტული პასუხისმგებელი პირები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მხრივ მიღებული ზომების თაობაზე გვატყობინებს მინისტრი **ო. კინკლაძე:**

— **გაცნობებთ, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მიმდინარე წლის 28 მარტს კოლეგიაზე განიხილა საკითხი გარდაბნის რაიონის მარტყოფის სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ და დასახა ღონისძიებები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესასრულებლად.**

ამასთან კოლეგიამ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საქმიანობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის სამმართველოს უფროსის მოადგილე ჰ. გ. ჩხენკელი გაათავისუფლა თანამდებობიდან.

კოლეგიის გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში შექმნილი მდგომარეობის გამო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართა წინადადებით, რომ მიღებული იქნეს დადგენილება აღნიშნული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად.

კოლეგიამ გადაწყვიტა გაიმართოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მუშაკთა აქტივის კრება, რომლის დღის წესრიგში იქნება: „სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1979 წლის 27 თებერვლის დადგენილებიდან".

ინტერნატის ტიპის სკოლების პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, რომელთა მოწყობა გათვალისწინებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით, მიმაგრებული არიან განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრები, აპარატისა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. მათ დაევალათ კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების, აგრეთვე ადგილზე არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ინფორმაცია წარუდგინონ სამინისტროს.

გათვალისწინებული გვაქვს აღნიშნულ კრებებზე, აგრეთვე სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მუშაკთა აქტივის კრებაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები განვიხილოთ სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე და დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებები მათზე რეაგირებისათვის.

რაც შეეხება აპარატის პარტიულ ორგანიზაციას, მას გათვალისწინებული აქვს პარტიულ კრებებზე სისტემატურად განიხილოს მინდობილი საქმისათვის სამმართველოთა და განყოფილებათა უფროსების, აგრეთვე ცალკეულ კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხები.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის განმტკიცების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გივი ნიკოლოზის ძე **მელაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. დიმიტრი ალექსანდრეს ძე **კიკნაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. ლონგინოზ ლევანის ძე **ზაქაიძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სამეურნეო ორგანოებსა და კოოპერაციულ ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის ვეტერანთა საბჭოს წევრი ამხ. ლონგინოზ ალექსანდრეს ძე **რუხაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიის და ბიოქიმიის განყოფილების გამგე ამხ. ანდრია დიმიტრის ძე **ლაშხი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გაგრის საჯიშე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ვასილ რომანის ძე **ძნელაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყურძნის სელექციის განყოფილების გამგე ამხ. მიხეილ ვასილის ძე **კოლელიშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. იაკობ ილარიონის ძე **კოდუა** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი ამხ. ალექსანდრე დავითის ძე **იაკობიძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

მეცნიერებისა და ტექნიკის ჰორიზონტები

ჩვენ და სათბობ-ენერგეტიკა

XXI საუკუნის კარიბჭესთან

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლში წერია: „ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის სსრ კავშირში ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის... დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების მიზნით“.

ამგვარად ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი ბუნებრივ სიმდიდრეებს იცავს დაუფიქრებელი, მიზანშეუწონელი ხარჯვისაგან. ცხადია, ეს პირველ რიგში ეხება ენერგეტიკულ რესურსებს — ქვანახშირს, ნავთობს, გაზს და სხვ., რამდენადაც ლიეს ისინი უკვე მეტ წილ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების საფუძველს შეადგენენ. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამჟამად მსოფლიოში მთელი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 70 პროცენტი ენერგეტიკული რესურსების წილად მოდის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, რომ ახლა სახალხო მეურნეობის პრობლემათა შორის უმნიშვნელოვანესია სათბობ-ენერგეტიკული პრობლემა.

თანამედროვე პირობებში სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს შორის გამოყენების მასშტაბით წამყვანი როლი მიეკუთვნება ნავთობს, როგორც ყველაზე იაფფასიანი და მაღალხარისხოვანი ენერგიის წყაროს. ნავთობის ხვედრითი წონა მსოფლიო ენერგეტიკულ ბალანსში 60 პროცენტს შეადგენს, ზოგიერთ ქვეყანაში კი 80 პროცენტსაც აღემატება.

რაც დრო გადის, ნავთობის მოხმარება განუხრელად და სულ უფრო მეტად იზრდება. ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობა წელიწადში 2 პროცენტით მატულობს, სათბობზე მოთხოვნილება კი 4-5 პროცენტით.

როგორც ცნობილია, 1976 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობამ 4 მილიარდს გადააჭარბა, ნავთობის მსოფლიო მოპოვებამ კი 2,6 მილიარდ ტონას. პროგნოზების თანახმად, 2000 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობა 6,5 მილიარდს მიაღწევს, ნავთობზე მოთხოვნილება კი 8,5 მილიარდ ტონას. შედარებისათვის ვიტყვით, რომ აღნიშნული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 2000 წლამდე დარჩენილ დროში საჭირო იქნება 3-4-ჯერ მეტი ნავთობის მოპოვება, ვიდრე მოპოვებულია იგი მთელ ჩვენს პლანეტაზე უკანასკნელი 120-130 წლის განმავლობაში.

ბუნებრივია, ნავთობის მოპოვებისა და გამოყენების ასეთი ფართო მასშტაბის გამო უკვე დღეს უაღრესად აქტუალური და პრობლემური ხდება ნავთობის დარჩენილი მსოფლიო მარაგისა და მისი რაციონალური გამოყენების საკითხი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და ცნობილი მეცნიერების კირილინის, მოდის, როქასა და რივენის მონაცემებით, ნავთობის მსოფლიო მარაგი 202-270 მილიარდ ტონას შეადგენს. რომაც გასაგებია სპეციალისტების ზოგიერთი ცნობილი უცხოელი სპეციალისტისა, რომელთა აზრით ნავთობის მსოფლიო მარაგი მთლიანად ამოიწურება უახლოესი ასი წლის განმავლობაში.

საბჭოთა კავშირში ნავთობის მოპოვებამ 1974 წელს 459 მილიონ ტონა შეადგინა, ხოლო 1980 წ. გაზის კონდენსატთან ერთად 620-640 მილიონ ტონას მიაღწევს.

მართალია, ჩვენს ქვეყანას აქვს ნავთობის მნიშვნელოვანი ბუნებრივი მარაგი, ამბობს თავის ერთ-ერთ სტატიაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. კირილენკო, მაგრამ ნავთობის მოპოვება სულ უფრო მეტად ინაცვლებს ჩრდილოეთის რაიონებში, დასავლეთ ციმბირსა და აღმოსავლეთში, რის გამოც მნიშვნელოვნად იზრდება ნავთობის მრეწველობის კაპიტალური დაბანდებანი და ძვირდება საწვავი. ამიტომ ნავთობპროდუქტებისა და განსაკუთრებით კი მათი ძირითადი სახეების — საწვავი და საპოხი მასალების რაციონალური გამოყენება ახლა ჩვენი სახალხო მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომლის სწორ და დროულ გადაჭრაზეც დიდად არის დამოკიდებული საკითხი — ჩვენი ქვეყანა მრავალმილიონობით ან მილიარდობით მანეთის ეკონომიას მიიღებს, თუ იგივე მოცულობის ზარალს ნახავს.

მაგალითად, ინგლისში, სადაც საპოხი მასალების წლიური მოხმარება 1 მილიონ ტონასაც კი არ აღემატება, მათი არასწორი და არარაციონალური გამოყენებით გამოწვეულმა ზარალმა 1965 წელს 1236 მილიონი დოლარი შეადგინა. ამავე ზარალმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 5 მილიარდი მარკა, ხოლო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერთი მილიარდი მარკა შეადგინა.

საბჭოთა კავშირში დახარჯულ 1 ტონა ბენზინსა და 1 ტონა დიზელის საწვავზე მოდის შესაბამისად 15-20 მან. და 7-8 მან. ზარალი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული მილიონობით ტონა ნავთობის 20 პროცენტს საავტომობილო ტრანსპორტი ხმარობს, გამოდის, რომ მხოლოდ საავტომობილო საწვავ-საპოხ მასალებზე მოსული დანაკარგი მრავალ მილიონ მანეთს აღწევს. შეიძლებოდა მოგვეყვანა კიდევ მრავალი ასეთი მაგალითი.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ სახელმწიფო სახსრების ასეთი დიდი დანაკარგების ძირითადი მიზეზებია საწვავ-საპოხი მასალების რაციონალური გამოყენების პრობლემის შეუფასებლობა, მისადმი მცდარი, არამეცნიერული მიდგომა, რაც, თავის მხრივ, იმის ბრალია, რომ შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები ან არ გვყავს, ან გვაკლია.

საწვავ-საპოხი მასალების რაციონალური გამოყენების პრობლემა მოიცავს მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ხახუნი, ცვეთა და გაპოხვა, მანქანათა საიმედოობისა და ხანგამძლეობის და საწვავის ენერგიის ეფექტიანი გამოყენების ამაღლება, გარემოს დაცვა და სხვა.

აღნიშნული პრობლემის დადებითად გადაჭრის დიდმა აქტუალობამ განაპირობა ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიმართულების — „ქიმოტოლოგიის“ (შესდგება სამი სიტყვისაგან: ქიმია, მოტორი — ძრავა, ლოგია — მეცნიერება) ჩამოყალიბება. იგი ურთიერთკავშირში სწავლობს საწვავ-საპოხი მასალების, ძრავების, მექანიზმების და მათი ექსპლუატაციის საკითხებს. მაგრამ, როგორც მისი დასახელებიდან ჩანს, უპირატესი მნიშვნელობა ძრავაში საწვავი და საპოხი მასალების რაციონალურ გამოყენებას აქვს მინიჭებული. და ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც სწორედ შიგაწვის ძრავაა ნავთობპროდუქტების ყველაზე ფართო მომხმარებელი. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად გამოდის სხვადასხვა დანიშნულების (საავტომობილო, სატრაქტორო, სარკინიგზო, საზღვაო, სტაციონალური და სხვ.) 3 მილიონზე მეტი ძრავა, ხოლო ამჟამად სახალხო მეურნეობაში მოქმედი ძრავების საერთო სიმძლავრე რამდენჯერმე აღემატება ქვეყნის ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრეს.

ქიმოტოლოგია — ეს არის მეცნიერება, რომელიც ყველა საკითხის გადაჭრისას ოპტიმალურად ითვალისწინებს მათ სახალხო-სამეურნეო და სოციალურ მნიშვნელობას. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მრავალთაგან ერთ-ერთი, შედარებით მარტივი მაგალითი. როგორც ცნობილია, ნამუშევარი ძრავის ზეთების შეგროვება და ხარეგენერაციოდ ჩაბარება საკმარისად აქტუალური საკითხია. მისი დადებითი გადაწყვეტა, ერთი მხრივ, ბუნებას დაიცავს ნარჩენი ზეთების მიწაზე, მდინარეებში და წყალსატევებში გადაღვრით გამოწვეული გამოუსწორებელი ზიანისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, სახალხო მეურნეობას მისცემს დიდ ეკონომიას. კერძოდ, ერთი ტონა ნამუშევარი ძრავის ზეთის აღდგენა სახალხო მეურნეობას აძლევს 75 მანეთს, ხოლო თვით ავტოსაწარმო კი 18 მანეთს იღებს ყოველ ჩაბარებულ ტონა ნამუშევარ ზეთზე. ამავე დროს მნიშვნელოვნად იზრდება ძრავის ზეთების მარაგი.

ქიმოტოლოგებმავე უნდა გადაწყვიტონ უახლოეს დროში ჩვენს ქვეყანაში ბენზინების ოქტანის რიცხვების და დიზელის საწვავების ცეტანის რიცხვების ოპტიმიზაციის და სხვა უამრავი სადღეისო საკითხი.

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში ქიმოტოლოგიის განვითარება მნიშვნელოვნად ყოვნდება იმის გამო, რომ არა გვყავს საჭირო კვალიფიციური კადრები. ამჟამად ქიმოტოლოგიის საკითხებზე მუშაობენ ან ნავთობის ინჟინერ-ტექნოლოგები, რომელთაც არ ჰყოფნით ცოდნა და გამოცდილება ტექნიკის ექსპლუატაციის სფეროში, ანდა ინჟინერ-მექანიკოსები და ექსპლუატაციის ინჟინრები, რომელთაც არ ჰყოფნით ცოდნა ნავთობპროდუქტების შედგენილობის, თვისებების, წარმოებისა და გამოყენების თვალსაზრისით. და ეს ხდება მაშინ, როცა ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად, ნავთობქიმიურ და საავტომობილო მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის, საზღვაო და სამდინარო ფლოტის და სხვ. სამინისტროებთან, სახკომსოფლტექნიკასთან და სხვადასხვა უწყებასთან უკვე შექმნილია ან იქმნება ქიმოტოლოგიური ცენტრები, რომლებიც აუცილებლად ინჟინერ-ქიმოტოლოგებით უნდა დაკომპლექტდებოდეს.

მაშასადამე, ინჟინერ-ქიმოტოლოგი საჭიროა თითქმის ყველგან, სადაც ნავთობპროდუქტებს იყენებენ. ასეთებია აგრეთვე: სათანადო ქარხნების ლაბორატორიები, სასაქონლო კანტორები, ავტომეურნეობათა საწვავ-საპოხი მასალების სამსახური და სხვ.

საზღვარგარეთ აღნიშნული პროფილის სპეციალისტების მომზადება დაიწყო ჯერ კიდევ 1966 წლიდან. ამის გამო ისეთი ქვეყნები, როგორიც არის ინგლისი, ამერიკა, ფედერაციული გერმანია, იაპონია, დემოკრატიული გერმანია, ჩეხოსლოვაკია და სხვები, უკვე ღებულობენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს. მაგალითად, ინგლისში საპოხი მასალების რაციონალური გამოყენებისათვის ბოლო წლებში ჩატარებულმა სპეციალურმა ღონისძიებებმა — მეცნიერების ახალი დარგის „ტრიბოლოგიის“ სწრაფმა განვითარებამ და ამ დარგის სპეციალისტების მომზადებამ (1974 წ. მომზადდა 4000, ხოლო 1999 წ. მომზადდება 50000 სპეციალისტი) განაპირობა 400 მილიონ დოლარზე მეტი წლიური ეკონომია.

საბჭოთა კავშირში ქიმოტოლოგიის დარგის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება წარმოებს მხოლოდ ვიწრო საუწყებო სისტემაში სპეციალობით — „საწვავის, საპოხი მასალების და სითხეების მომარაგება“. კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა და მოსკოვის ი. მ. გუბკინის სახელობის ნავთობის ქიმიისა და გაზის მრეწველობის ინსტიტუტებში სათანადო სპეციალობებთან შემოღებულია ქიმოტოლოგიური განხრის სპეციალიზაციები.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ქიმოტოლოგიური განხრით მომზადებულ სპეციალისტთა რაოდენობა თანამედროვე მოთხოვნათა თვალსაზრისით, როგორც იტყვიან, „ზღვაში წვეთია“.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, დღემდე აშკარად და გაუმართლებლად ყოვნდება ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულება, რომელშიც მითითებულია, რომ აუცილებელია ინჟინერ-ქიმოტოლოგების მომზადების ორგანიზაცია. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ მხოლოდ 1976 წლიდან დაიწყო სათანადო ღონისძიებათა განხორციელება „ინჟინერ-ქიმოტოლოგის“ სპეციალობის ოფიციალური შემოღებისათვის.

იმედია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და 1978 წლის 20 მარტს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირი, რომელზეც დაისახა საწვავ-საპოხი მასალების რაციონალური ხარჯვისათვის ფართო მოძრაობის გაშლის ამოცანა, დიდ როლს შეასრულებს აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის დაჩქარების საქმეში.

ინჟინერ-ქიმოტოლოგებზე, ანუ საწვავ-საპოხი მასალების და სპეციალური სითხეების რაციონალური გამოყენების კვალიფიციურ სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს რესპუბლიკაშიც.

საქართველოში წელიწადში 3,5 მილიონ ტონამდე ნავთობპროდუქტები იხარჯება. რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედებს 200-ზე მეტი საავტომობილო მეურნეობა, დიდძალი სასოფლო-სამეურნეო და საგზაო მანქანა, საავტომობილო, საავიაციო და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები; საწვავით, ზეთებით და სხვა საექსპლოატაციო მასალებით თვითმფრინავების გასაწყობი სამსახურების და ავტოტრანსპორტის გასაწყობი სადგურების ფართო ქსელი. აქვე უნდა იქნეს გათვალისწინებული ისიც, რომ ჩვენს რესპუბლიკაში საკმარისად სწრაფი ტემპით იზრდება ნავთობის მოპოვება, რაც, ალბათ, განაპირობებს მომავალში ახალ გადამამუშავებელ საწარმოთა მშენებლობას.

ამავე დროს საქართველოში საწვავ-საპოხი მასალების დარგის მეტ-ნაკლებად კვალიფიციური სპეციალისტების რიცხვი ათ-თხუთმეტს არ აღემატება.

ზემოაღნიშნული მიუთითებს ჩვენს რესპუბლიკაში ინჟინერ-ქიმოტოლოგების მომზადების ორგანიზაციის და ქიმოტოლოგიური კვლევითი ცენტრების და ლაბორატორიების შექმნის აუცილებლობაზე, რისთვისაც, ჩვენი აზრით, დღიდანვე უნდა იზრუნონ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მეცნიერებათა აკადემიამ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, ავტოტრანსპორტის სამინისტრომ, სახკომსოფლტექნიკამ, ქუთაისის საავტომობილო და სატრაქტორო ქარხნებმა, სხვა შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა.

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხების დადებითად გადაწყვეტისათვის ჩვენთან ნაწილობრივ უკვე მომზადებულია ნიადაგი იმ ქიმოტოლოგიური ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სახით, რომლებიც წარმატებით შესრულდა ან სრულდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ლ. მელიქაძის ხელმძღვანელობით.

გვჯერა, რომ ჩვენი რესპუბლიკა, რომელიც ასე წარმატებით მიისწრაფვის მაღალი მიღწევებისაკენ ცხოვრების ყველა სფეროში, ოპერატიულად და მაღალკვალიფიციურ დონეზე შეუდგება ისეთი გადაუდებელი პრობლემების გადაჭრას, როგორიც არის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება.

შ. საგიაშვილი,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომექანიკის ფაკულტეტის დეკანი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

ჯ. იოსებიძე,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის „შიგაწვის ძრავების“ კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

თანამშრომლობა ვითარდება

მადრიდი, 21 მაისი. (საკდესი). ორი კვირის მანძილზე ესპანეთში იმყოფებოდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის დელეგაცია. დელეგაციაში, რომელსაც მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. სუროვცევი მეთაურობდა, შედიოდნენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. ნონეშვილი და ლიტერატურათმცოდნე ე. ბრაგინსკაია. ქვეყანაში ყოფნის დროს დელეგაციის წევრები შეხვდნენ ესპანეთის მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, წიგნის გამომცემლებს, რომლებთან ერთად განიხილეს თანამშრომლობის შესაძლებლობა და ფორმები.

ესპანეთში ყოფნის დროს ი. ნონეშვილი ეწვია აგრეთვე ბასკების ქვეყანას, სადაც შეხვდა ცნობილ ბასკ ფილოლოგს შაბიან კინტანას, რომელმაც მთელი რიგი ნაწარმოებები თარგმნა ქართულიდან. ამჟამად კინტანა ამთავრებს შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას. ი. ნონეშვილი ეწვია ბასკეთის რამდენიმე სკოლას, სადაც წაიკითხა თავისი ლექსები.

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

კვლავ რეპრესიები
ლტოლვილთა ბანაკი ალყაში

ბეირუთი. 20 მაისი. (საკდესი). ისრაელის ხელისუფალნი განაგრძობენ სასტიკი რეპრესიების კამპანიას მდინარე იორდანის ოკუპირებული დასავლეთი ნაპირის არაბი მოსახლეობის წინააღმდეგ. უკვე ორი კვირაა დამპყრობლებს არსებითად ალყაში აქვთ მოქცეული პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკი აიდა ქალაქ ვიფლეემის მახლობლად. დაწესებულია კომენდანტის საათი, მცხოვრებლებს დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე საათით აქვს უფლება დატოვონ სახლები.

ბეით-ლაჰმის, ბეით-საჰურისა და მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის სხვა ქალაქების მერებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს ოკუპანტთა თვითნებობის წინააღმდეგ.

დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ინტერვიუ

ვაშინგტონი. 21 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ამერიკის პროვინციული გაზეთების რედაქტორებისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ დამთავრდება ივნისის შუა რიცხვებში დასახული. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევთან შეხვედრის მომენტისათვის. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების დამტკიცება და ხელმოწერა საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს, თქვა პრეზიდენტმა, „უეჭველად დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება“.

„სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკება, — აღნიშნა მან,— უწყვეტი პროცესია. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულების განხილვა უკვე შვიდი წელია მიმდინარეობს. მე ამერიკის შეერთებული შტატების მესამე პრეზიდენტი ვარ, რომელიც ამ პროცესში მონაწილეობს. ეს გულდასმით შეწონასწორებული ხელშეკრულებაა. იგი იცავს ჩვენი ქვეყნის უშიშროებას და წვლილს შეიტანს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში, იგი აგრეთვე სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირის ინტერესებს“.

როცა შეეხო ამერიკის სენატის მიერ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულების რატიფიკაციის პერსპექტივებს, პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ თუ სენატი შესწორებებს შეიტანს ხელშეკრულებაში, ის მიუღებელი იქნება საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატებისათვის. „ის, — თქვა ჯ. კარტერმა, — მეტად რთულ მდგომარეობაში ჩამაყენებს, და ვფიქრობ, რომ ხელშეკრულების უარყოფა ყოველ შემთხვევაში მრავალი წლით შეუწყვეტს ბირთვული იარაღისადმი კონტროლის პროცესს და ამას სერიოზული შედეგები მოჰყვება“.

დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა

ჰავანა, 20 მაისი. (საკდესი). კუბისა და გამბიის მთავრობებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და მიუმხრობლობის მოძრაობის პრინციპების შესაბამისად გამოაცხადეს, რომ გადაწყვიტეს დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა საელჩოთა დონეზე. ეს ღონისძიება, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ცნობაში, ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

საპროტესტო მანიფესტაცია

ნიუ-იორკი, 21 მაისი. (საკდესი). ათასობით ამერიკელმა მიიღო მონაწილეობა გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ აქ გამართულ საპროტესტო მანიფესტაციაში. ფართო კოალიციის „კაცობრიობის დაცვისათვის მობილიზაციის“ მოწოდებით, რომელიც აერთიანებს ათობით საზოგადოებრივ, ომის საწინააღმდეგო, ხანგთა, ქალთა, ახალგაზრდულ და რელიგიურ ორგანიზაციებს, დემონსტრანტებმა ლოზუნგებითა და პლაკატებით ჩაიარეს ქალაქის ცენტრალური ქუჩებით ტაიმს სკვერის მოედნისაკენ, სადაც პენტაგონის ერთ-ერთ შესაკრებ პუნქტთან მასობრივი მიტინგი გაიმართა.

ფოტო ამხილებს



ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად ზრდის თავის სამხედრო პოტენციალს. 1980 საფინანსო წლისათვის შეიარაღებაზე გამოიყოფა 138,2 მილიარდი დოლარი — უდიდესი თანხა ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ისტორიის მანძილზე.

სურათზე: საავიაციო კონცერნის „ბოინგის“ მიერ შექმნილი ახალი ფრთოსანი რაკეტა.

ასოშიეიტედ პრეს-საკდესის ფოტო.

ამერიკელი სტუმარი საქართველოში

ამერიკა — საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს პრეზიდენტი მ. ფორესტოლი, რომელიც საბჭოთა კავშირში საქმიან ვიზიტად იმყოფება, ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვიდა.

სამი დღის განმავლობაში იგი გაეცნობა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა ცხოვრებასა და ყოფას, დაათვალიერებს თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს. მ. ფორესტოლი ეწვია თბილისის კონიაკის ქარხანას, დაათვალიერა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ექსპონატები, დაესწრო ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის აღსაზრდელთა კონცერტს.

21 მაისს მ. ფორესტოლი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ და ესაუბრა ქართველი ხალხის ისტორიის, იმ უდიდესი ცვლილებების შესახებ, რომლებიც რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ო. ჩერქეზიამ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის მომავალ შეხვედრას, რომლის დროს დაამტკიცებენ და ხელს მოაწერენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ხელშეკრულებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, თქვა ო. ჩერქეზიამ, მთლიანად და სავსებით იწონებენ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცება, მეგობრული ურთიერთობის განვითარება ყველა ქვეყანასთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც.

მ. ფორესტოლმა მადლობა გადაიხადა საქართველოში გაწეული გულითადი მასპინძლობისათვის და თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს ამ საბჭოთა რესპუბლიკის ისტორიისა და კულტურისადმი, მისი ცხოვრებისადმი.

საუბარში მონაწილეობდნენ ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს პრეზიდენტის მოადგილე გ. შჩუკინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო სამსახურის სამმართველოს უფროსი ვ. რახმანინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ელიგულაშვილი, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ჩოფიკაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსი ლ. მატარაძე.

იმავე დღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ სადილი გაუმართა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს პრეზიდენტს მ. ფორესტოლს. (საქინფორმი).

საერთაშორისო მიმოხილვა

გასულ კვირას

● მაგისტრალური მიმართულებით ● ნაბიჯი დაძაბულობის შენელების გზაზე.

აქტიური ბრძოლა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და ხალხთა შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაფართოებისათვის სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური მეცადინეობის მაგისტრალური მიმართულებაა. ეს კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ დადასტურდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 14-15 მაისს გაიმართა ბუდაპეშტში.

როგორც ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს აზრი, რომ ესწრაფვიან აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შეთანხმებას ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიც არის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დადება და ძალაში შესვლა, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მესამე ეტაპის მოლაპარაკებაზე გადასვლა. ბირთვული იარაღის წარმოების, გამოცდის აკრძალვა და მის გამოყენებაზე ხელის აღება.

საერთაშორისო საზოგადოებრიობასა და მსოფლიო პრესაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სხდომის მონაწილეთა მიერ წამოყენებულმა კონკრეტულმა წინადადებამ იმის შესახებ, რომ უკვე 1979 წელს გაიმართოს სრულიად ევროპის კონფერენცია სამხედრო დაძაბულობის შენელების საკითხებზე შეერთებული შტატებისა და კანადის მონაწილეობით. ამ თათბირის ამოცანაა განიხილოს და შეათანხმოს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ევროპის სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას, კონტინენტზე სამხედრო კონფრონტაციის შენელებასა და შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების კონცენტრაციის შემდგომ შემცირებასა და აკრძალვას. როგორც აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰნოუპეკმა, „ასეთი კონფერენციის მოწვევა უაღრესად აქტუალურია, რითაც აიხსნება ეს დიდი ინტერესი მისდამი მთელ მსოფლიოში“.

ბუდაპეშტის სხდომაზე აღინიშნა, რომ დაძაბულობის შენელებისა და მისი გაღრმავების ინტერესებს ეწინააღმდეგება გამალებული შეიარაღების გადიდების ახალი ღონისძიებანი, რომლებსაც ამ ბოლო დროს ახორციელებს ნატოს ბლოკი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საშიშია დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორიაზე საშუალო მოქმედების რადიუსის სარაკეტო-ბირთვული იარაღის განლაგების გეგმები, იარაღისა, რომელიც მიმართულია ევროპის სოციალისტური სახელმწიფოების ტერიტორიების ობიექტების წინააღმდეგ, აგრეთვე ნეიტრონული იარაღის შექმნისა და გაშლის გეგმების აღდგენა.

მთელი მსოფლიოს ხალხები დიდად აფასებენ ბუდაპეშტის სხდომის მონაწილეთა მიერ გამოთქმულ მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავ იბრძოლონ იმისათვის, რომ პრაქტიკულად განახორციელონ დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავების ყველა ღონისძიება, მშვიდრო ურთიერთობა დაამყარონ ამ საქმეში სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან, დემოკრატიულ და პროგრესულ ძალებთან.

ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, უდიდესი კმაყოფილებით აღიქვა ცნობა იმის შესახებ, რომ მიღწეული მორიგების შესაბამისად დაახლოებით 15-18 ივნისს ვენაში ერთმანეთს შეხვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი. შეხვედრის მიზანია დაამტკიცონ და ხელი მოაწერონ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებას, რომელზეც მუშაობა ახლა მთავრდება, აგრეთვე განიხილონ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საინტერესო სხვა საკითხები.

ასეთი ხელშეკრულების დადება, რომლის შემუშავება უკვე ექვსწელიწადნახევარია გრძელდება, იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი სამხედრო დაძაბულობის შენელების გზაზე, რეალური წვლილი ყველა ხალხისათვის ისეთი გადაუდებელი და მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში, როგორიც არის გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და განიარაღება. ამ ხელშეკრულების ხელმოწერა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა გახდება, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ გ. უინსტონმა. „ამით, — მისი თქმით,— კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგმება თერმობირთვული ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის გზაზე, ეს არის მტკიცე მშვიდობის, სრული განიარაღების გზაზე გადადგმული ნაბიჯი“.

თუ ხელშეკრულება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ დაიდება, რატიფიცირდება და ძალაში შევა, გარკვეული დაბრკოლება შეიქმნება ყველაზე დამანგრეველი და ძვირადღირებული სახეობის იარაღის შემდგომი დაგროვების გზაზე. სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დადება გზას გაუკაფავს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მესამე შეთანხმებაზე მუშაობას. იგი კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს, დაამუხრუჭოს ახალ სახეობათა იარაღის შექმნა. უნდა გაითვალისწინონ არა მარტო შეიარაღების ზრდის შეზღუდვა, არამედ ორივე მხარის მიერ მისი შემცირება.

მთელი მსოფლიო გამოთქვამს იმედს, რომ ამით გაგრძელდება გამალებული შეიარაღების ალაგმვის პროცესი, რომელიც საბჭოთა კავშირის ინიციატივით დაიწყო. ვენის მომავალი შეხვედრის გამო მრავალრიცხოვან გამოხმაურებებში გამოთქმულია რწმენა, რომ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დადება ხელს შეუწყობს გამოცოცხლდეს ამჟამად მიმდინარე სხვა მოლაპარაკებანიც, მაგალითად, ბირთვული იარაღის გამოცდის სრული აკრძალვის, ჩვეულებრივი იარაღით ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ, აგრეთვე ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების მოლაპარაკება.

მაგრამ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებას მეტად გავლენიანი და ძლიერი მოწინააღმდეგეები ჰყავს. ესენი არიან იმპერიალისტური წრეები, ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ნატოს მხედრიონი. მთელი ექვსნახევარი წლის მანძილზე ხელშეკრულებაზე მუშაობის დროს ისინი არაფერს არ თაკილობდნენ, რომ შეეფერხებინათ მისი წინსვლა და ჩაეშალათ მისი დადება. ახლა, როცა დოკუმენტზე მუშაობა მიუახლოვდა წარმატებულ დასასრულს, ისინი ამერიკის რეაქციის მთელ ძალებს რაზმავენ, რათა ჩაშალონ მომავალი ხელშეკრულების რატიფიკაცია.

საღად მოაზროვნე ამერიკელები ამ ძირგამომთხრელ ხრიკებს იმით უპასუხებენ, რომ აძლიერებენ ბრძოლას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების უსწრაფესი რატიფიკაციისათვის, როცა მას ხელს მოაწერენ და განსახილველად წარუდგენენ სენატს.

(საკდესი).

სოფლის საკეთილდღეოდ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სესია მიეძღვნა სოფლის მეურნეობის პრობლემების ფუნდამენტური კვლევის შემდგომ განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალისტები ეთათბირნენ მეცნიერებს და განიხილეს ღონისძიებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმებმა დაუსახეს სოფლის მეურნეობას მისი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქართველმა მეცნიერებმა შეასრულეს დიდმნიშვნელოვანი კვლევა ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა დარგში. მასთან სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხები დღემდე იდგა არა მარტო მეცნიერ-აგრარიკოსთა, არამედ მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენელთა ყურადღების ცენტრში. საკმარისია ითქვას, რომ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში დამუშავების პროცესშია 40 უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო თემა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარების მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ჭითანავამ.

კრების მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის ლ. გაბუნიას მოხსენება ციტრუსების, ვენახებისა და ხეხილის ყინვებისაგან, გაზაფხულის სუსხისა და სეტყვისაგან დაცვის ეფექტიანი კომპლექსური სისტემების შემუშავების პროგრამის შესრულების შესახებ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ს. დურმიშიძისა და ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის გ. ციციშვილის მოხსენებანი ბიოლოგიისა და ქიმიის პროფილების ინსტიტუტებში ფუნდამენტური კვლევისა და სოფლის მეურნეობაში მისი გამოყენების პერსპექტივების შესახებ.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა ე. ანდრონიკაშვილმა თავის მოხსენებაში თქვა, თუ როგორ მონაწილეობენ ინსტიტუტის მეცნიერები სოფლის მეურნეობის მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტაში. საქართველოს სს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლების გზებზე ილაპარაკა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, ამავე აკადემიის აკადემიკოსმა ი. ხოხლოვმა. ნიადაგმცოდნეობა სოფლის მეურნეობის სამსახურში! — ასეთი იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებლის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. დარასელიას მოხსენების თემა. აგროსამრეწველო ინტეგრაციის პრობლემებს მიეძღვნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგრარული პრობლემების განყოფილების ხელმძღვანელის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის მ. კახეთელიძის მოხსენება.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობდნენ მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. დვალი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი მ. ლეინჯილია, თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, პროფესორი მ. გოდოლიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. შხვაცაბაია, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ვ. მეტრეველი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. მიქელაძე, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი ა. გუნია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ვარძელაშვილი.

სესიაზე აღინიშნა, რომ თანამედროვე ეტაპზე განუხრელად იზრდება მეცნიერების როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

საქართველოსათვის სპეციფიკურ დარგებს შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ჩაის კულტურას. რესპუბლიკა ქვეყანაში მოხმარებული ჩაის 95 პროცენტს იძლევა. ამ ძვირფასი კულტურის წარმოებით მას მეხუთე ადგილი უკავია მსოფლიოში. ახლა ამ კულტურას უკავია 65,5 ათასი ჰექტარი. მომავალში შეემატება კიდევ 20 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციები, და რესპუბლიკა შეძლებს მთლიანად დააკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნილება ჩაიზე.

სესიაზე აღინიშნა, რომ ჩვენმა მეცნიერებმა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეადგინეს რამდენიმე მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამა და წარმატებით ახორციელებენ მათ.

მიღებულ დადგენილებაში დასახულია რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციაში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი.

(საქინფორმი).

გაათავისუფლეს გ. ბორანი

ანკარა, 21 მაისი. (საკდესი). პატიმრობიდან გაათავისუფლეს თურქეთის მუშათა პარტიის გენერალური თავმჯდომარე ბ. ბორანი. იგი სტამბოლში დააპატიმრეს იმ ბრალდებით, რომ მან დაარღვია კანონი კრებებისა და მსვლელობების შესახებ, რომელიც კრძალავს 1 მაისის დღესასწაულს. მასთან ერთად გაათავისუფლეს ამავე ბრალდებით დაპატიმრებული პარტიის სხვა წევრებიც.

რედაქტორის სვეტი

განძი

ლიფტში სკოლის ამხანაგს შევხვდი. ლამაზი ქალი იყო, ოღონდ უგემოვნო, მიკვირია ოჯახის ტრადიციებზე აღზრდილი. აი, ახლაც, კარგა მოღიადებულ, სავსე მკერდზე ჯვარცმული ქრისტეს ოქროს უშველებელი გამოსახულება ძეწკვით კი არა, ოქროს ჯაჭვით ეკიდა. ამის დანახვაზე მომაგონდა, რომ მამამისს ოცდათორმეტივე კბილი ოქროსი ჰქონდა, ხოლო ძმა მაჯაზე საათს ჩასაკეტი სამაჯურით იმაგრებდა. ამათი ოქრო ერთი სტომატოლოგიური კაბინეტის წლიურ ფონდს გასცდება-მეთქი, გავიფიქრე.

ქალიშვილი მახლდა თან. შინ მისვლისას მკითხა: ნეტავ ლამაზ ქალს ზედ ამოდენა განძი რაღად უნდაო.

ეხლაც არ ვიცი, რამ გამახარა მაშინ, იქნებ ბავშვის ნათქვამი სიხარბედ მეჩვენა. ძალზე გავუწყერი: — ქალიშვილობას ეწიე და როგორ არ იცი, რომ ოქრო და ბრილიანტი განძად არასოდეს იქცევა, თუ იგი ერთი ადამიანის კუთვნილებაა. დაიხსომე, განძი თამარის ჯვარია, იმ ქალს კი თავი გაყოფილი აქვს ძვირად ღირებულ ნივთში. ნივთია ის, ნივთი, ფულად რომ შეუძლია აქციოს, და მეტი არაფერი. ხალხის რაც არის, ნაკლებიც რომ ღირდეს, ჩაინც განძია. და საერთოდ, განძი ნიკალას „კლიონკებივით“ ფასდაუდებელია. განძი მთასა აქვს, რაკი მადანი ხალხისაა, მიწას, — რაკი ტყე საერთოა, ხატი განძია, რაკი საყდარში ძევს...

...კერატიშვილი საყდარს მიადგა განძის საქურდლად. ამ დღეებში საკასაციო ვადის გასვლისთანავე, პრესა ოფიციალურ ცნობას მიაწვდის მოსახლეობას ამ ხუცესად ნაკურთხი ავაზაკისა და ყალთაბანდის სასამართლო პროცესის ირგვლივ. ერის საგანძურში სულწაწყმედილის ბინძური ხელის ფათურის ამბავი ყველას აღაშფოთებს. და, თუ ეს სვეტი მოვლენას წინ უსწრებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ხმამაღლა, საჯაროდ ითქვას: მარტო აღშფოთება აღარა კმარა. დღეს ის გვჭირდება, რომ განცდა და გულისწყრომა გონების ნაკარნახევ ბეჭით ქმედებას საწყვავად გამოადგეს, მთელი საზოგადოებრიობის ერთობლივ ცდას ფრთებს ასხამდეს, რადგან მდგომარეობა სერიოზულია, რადგან კერატიშვილი გამონაკლისი არ არის.

საერთოდ, კალისტრატე ცინცაძის, ღირსეული მოქალაქის, მამულიშვილისა და დიდი მეცნიერის შემდეგ ქართულ ეკლესიას, სამწუხაროდ, მიმიკრიოსი, სპეკულანტი და ქურდი მოუმრავლდა.

ო, უკვე მესმის შეძახილები აქედანაც და იქიდანაც. იმით გაშტერებული, რომ არ იცის, პოლიტიკური სარჩული დამიდოს, თუ ნიშნის მოგებით ჩაიქირქილოს, ერთი ოპონენტი მეკითხება, როდის აქეთია ეკლესიის მოშლა და გახრწნა კომუნისტების წუხილს იწვევსო; მეორე მხრებს იჩეჩავს, საზოგადოებრიობამ რა ქნას, განძის დაცვა მილიციის ვალიაო.

ნუ ბორგავს ოპონენცია. პასუხი აქეთაც არის და იქითაც.

კერატიშვილი გამონაკლისი არ გახლავთ. შარშან დეკემბერში სოხუმის ფერისცვალების ეკლესიის მღვდელს ვინმე ჭულუხიძეს ბინის ჩხრეკისას ნაქურდალი ხატები აღმოუჩინეს. პეტრეპავლეს ეკლესიიდან 6 ხატი და 4 ჯვარი გაიტაცეს. მესტიის რაიონში დაიკარგა XI-XII საუკუნეების ოქროსა და ვერცხლის ვარაყიანი ხატები და ქართული და ვენეციური ჯვრები.

ანაფორიანი ქურდები — ეკლესიის დიდი სირცხვილია. მაგრამ არც ჩვენი სახელმწიფო, არც კომუნისტები, პოლიტიკური თვალსაზრისისა გამო, არ შეურიგდებიან ერის განძის ხელყოფას. და მერე მარტო მატერიალური ზარალით ხომ არ ამოიწურება შექმნილი ვითარება. სულიერ, მორალურ, იდეურ ძარცვას რა ვუყოთ? კერატიშვილისა და მისთანათა ბნელ საქმეებზე ქართველმა „დისიდენტებმა“ აკი ხელი მოათბობინეს ჩვენს იდეურ მტრებს.

დიახ, კომუნისტების საწუხარი და საზრუნავია ყოველივე ეროვნულის — დოვლათისა თუ ღირსების დაცვა და გაბრჭნა.

ეკლესია, როგორც მოწინააღმდეგე რწმენითი ინსტიტუტი, გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, თორემ ღვთისმოსავისთვის ჩვენში მოქალაქეობა არავის ჩამოურთმევია. ხოლო ყოველი მოქალაქის ავი სახელმწიფოს, ერის დარდია. ქაბუა ამირეჯიბისა არ იყოს, განუყოფელია ცნება ერისა და ცნება ზნეობისა.

და აი, მივდექით საზოგადოებრიობის ერთობლივი ცდისა და მეცადინეობის აუცილებლობის განსჯაზე. ასე ვთქვათ, პასუხი აქეთ.

დავიწყოთ იმით, რომ განძეულობა სახელმწიფო და მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდანაც იკარგება. შარშან აგვისტოში საქართველოს ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლეთის კულტურის დარბაზიდან მოიპარეს XVII საუკუნის სპილოს ძვლის 3.000 მანეთად ღირებული ინდური მინიატიურა; დეკემბერში ამავე მუზეუმის საგამოფენო დარბაზიდან გაიტაცეს ვრუბელის ორი ნახატი. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან დაიკარგა XIX საუკუნის უცნობი ავტორის მხატვრული პანო.

კი, ბატონო დაცვის ბრალია (უფრო სწორად, დაუცველობის!), მილიციას მეტი სიფხიზლე მართებს, სასიგნალო მეურნეობასა და სამსახურს მოვლა-ყურება უნდა. მაგრამ რა ქნას მილიციამ, თუ ზუგდიდის მუზეუმში ექსპონატების ბოლო (და იქნებ ერთადერთიც!) აღწერა 1980 წელს მოხდა, თუ სვანეთში ხატები და სხვა განძეული აღურიცხავია.

და ესეც არ არის მთავარი. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი ღონისძიებანი ამოქმედებს შესაბამის უწყებებს, შექმნის შესაფერის საზოგადოებრივ აზრსა და განწყობილებას.

მთავარია პერსპექტივის განჭვრეტა და დაგეგმვა. პრობლემის გადაჭრის გზა მხოლოდ ახალ თაობათა აღზრდაში შეგვიძლია ვეძიოთ. საზოგადოებამ, უპირველესად ოჯახმა და სკოლამ ბავშვებს იმთავითვე უნდა ჩაუნერგონ პატრიოტული დამოკიდებულება ეროვნული საგანძურისადმი. ჩაახედონ ცნებათა გამყოფ სიღრმეში, სად ნივთია და სად—განძი; განუმარტონ განძის განივთებისა და ნივთის განძად ქცევის მარტივი, მაგრამ ულმობელი დიალექტიკა.

რად არ ვუამბოთ ბავშვებს, თუ როგორ იქცა თელავის მუზეუმიდან უცნაურად გაუჩინარებული ერეკლეს ხმალი — განძი და რელიკვია — ნივთად; რად არ გავახსენოთ თაობას, რომ არ გამოადგა ცხოვრებაში ერთ ქურდს, ცრუსა და ღალატიან კაცს ოქროს ძაფებით ნაქსოვი ჰალსტუხ-ყელსაბამი.

დედის რძე და ალლო, მამის გენი და მაგალითი ბავშვს უნდა იმას აჯერებდეს, რომ განძს სა-ყელოდ, სა-ხელოდ და სა-მაჯურად, საბილოდ ვერ აქცევ, რომ ლიფტში ვერ შეატევ. რომ ერის საგანძურის ხელყოფა შეუნდობელი ცოდვა-ბრალია, ისევე, როგორც მისი მწყემსობა და მოვლა-პატრონობა — ქვეყნის კაცობა.

მწერლის მემკვიდრეობა

ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიას მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დაუტოვა გამოჩენილმა მწერალმა, კრიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ ბესარიონ ჟღენტმა. საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს გადაწყვეტილებით შექმნილია კომისია, რომელიც შეისწავლის და გამოსაცემად მოამზადებს ბ. ჟღენტის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრია დაწესებულება, ოჯახი, სადაც შეიძლება ინახებოდეს ბ. ჟღენტის პირადი წერილები, ხელნაწერები, მოგონებები, ფოტოსურათები. კომისია გთხოვთ მასალები გაუგზავნოთ შემდეგი მისამართით: 380026, თბილისი, ფურცელაძის № 12.

ფესტივალი

საქართველოს დედაქალაქის მუსიკალური კულტურის მოყვარულთა ყურადღება ამ დღეებში მიმართულია **კამერული მუსიკის ფესტივალისადმი**, რომლის ორგანიზატორები არიან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, კომპოზიტორთა კავშირი და სახელმწიფო ფილარმონია. ვფიქრობთ, ეს საინტერესო წამოწყება მომავალში კამერული მუსიკის მოყვარულთა მხარდაჭერით ტრადიციული გახდება.

ფესტივალზე შევხვდებით საბჭოთა კავშირის საუკეთესო კამერულ ანსამბლებს, გავეცნობით მათ საშემსრულებლო ხელოვნებას, მოვისმენთ კლასიკური და თანამედროვე კამერული მუსიკის თვალსაჩინო ნაწარმოებებს და რაღა თქმა უნდა, ეს ფესტივალი ხელს შეუწყობს ქართული მუსიკის ამ სფეროს გამდიდრებას ახალი თხზულებებით. ფესტივალში, კერძოდ, მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი კოლექტივები: მოსკოვის სიმებიანი კვარტეტი და კამერული ორკესტრი, ნ. მიასკოვსკის სახელობის კვარტეტი (ქ. სვერდლოვსკი), ლატვიის სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრი, კომიტასის სახელობის კვარტეტი (ქ. ერევანი), ჩიურლიონისის სახელობის სახელმწიფო კვარტეტი (ლიტვა), ჩვენი რესპუბლიკიდან — საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი და კამერული ორკესტრი.

ჟღერს კამერული მუსიკა

ფესტივალი გახსნა რესპუბლიკის დამსახურებულმა კოლექტივმა, საერთაშორისო და ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატმა საქართველოს სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა. შესრულდა ნაწარმოებები, რომლებიც კარგა ხანია დამკვიდრებულია მის რეპერტუარში: ჰაიდნის კვარტეტი სოლ მინორი (თხზ. 74), ვებერნის 5 პიესა, შუბერტის ერთნაწილიანი კვარტეტი დო მინორი...

ჩვენ თუმცა ამ ანსამბლის მიერ აღნიშნულ ნაწარმოებთა შესრულების უფრო ელვარე მომენტები გვახსოვს, ფესტივალის პირველ დღეს ჩვენმა კვარტეტმა მაინც მოგვხიბლა მაღალი კლასის საშემსრულებლო ხელოვნებით და საინტერესო სიახლეებს გვაზიარა. როდესაც პირველად ამ კვარტეტის შესრულებით მოვისმინეთ ვებერნის 5 პიესა, გაგვახსენდა გ. ნეიჰაუზის ცნობილი სიტყვები: „თუ ფორტეპიანოსაგან მთლიანად ხმოვანების მიღება შეუძლებელს მხოლოდ მაშინ მიაღწევ ყოველივე შესაძლებელს“. მართლაც კვარტეტმა განვვაცვიფრა უჩვეულო ტემბრული გამომსახველობით და ვებერნის სტილის სირთულეების დაძლევით. ამჯერად კი კომპოზიტორმა თითქოს „დაკარგა“ წინანდებური ფერების სიუხვე, მაგრამ ხუთმა მიკროსტრუქტურამ შეიძინა გრაფიკული სისადავე, ამასთან გაღრმავდა კონტრასტი პიესებს შორის. ერთგვარი სიახლე გაჩნდა ჰაიდნის კვარტეტის მხატვრულ გააზრებაშიც. გაფართოვდა ლირიკული სფეროს საზღვრები, გამოჩნდა თითოეული შემსრულებლის იმპროვიზაციის მაღალი კულტურა. ასეთივე „ფერისცვალება“ განიცადა შუბერტის კვარტეტმაც. თუ წინათ შემსრულებლები ცდილობდნენ თემატური მასალის ვოკალური ბუნების წარმოჩენას, ახლა წინ წამოიწია ექსპრესიული საწყისი, მღელვარე ტონი, მეტად გამოიკვეთა კულმინაციური აღმავლობა.

ფესტივალის დასაწყისი დაემთხვა ახალი კვარტეტის დაბადებას. შესრულდა ნოდარ გაბუნიას კვარტეტი № 1. ჩვენი მსმენელი საკმაოდ განებივრებულია ქართველ კომპოზიტორთა ამ ჟანრის ნაწარმოებთა სიუხვით, რომელთა პირველი შემსრულებელი მეტწილად სწორედ სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტია. მით უფრო სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ნ. გაბუნიას პირველი განაცხადი კვარტეტის ჟანრში საინტერესო გამოდგა თავისი ემოციური წყობით, ხატოვანებით, მასალის დამუშავების ხერხებით. კვარტეტის მხატვრულმა სფერომ ერთგვარი ასოციაციები წარმოშვა კომპოზიტორის საფორტეპიანო და სიმფონიურ ნაწარმოებებთან, მეორე მხრივ, ეს არის ის სიახლე, რომელიც მიგვითითებს ავტორის სტილის ევოლუციაზე.

თუ ამის უფლებას გვაძლევს პირველი მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება, მაშინ ვიტყვით, რომ სიმებიანი კვარტეტის ყველაზე მიმზიდველ მხარედ უნდა მივიჩნიოთ მისი წრფელი ლირიკა და მოკრძალებული ტონი, საკვარტეტო მუსიკისათვის ესოდენ დამახასიათებელ ინტიმურ ატმოსფეროს რომ ამყიდრებს. ამიტომაც ხატოვნების დონით უფრო დაგვაინტერესა მეორე და მესამე ნაწილებმა. კამერულ ნაწარმოებს ერთი საგულისხმო თვისება აქვს. ის ყოველთვის ზუსტად ამჟღავნებს ავტორის საკომპოზიციო კულტურასა და გემოვნებას. ნ. გაბუნიას კვარტეტი ამ მხრივაც არის აღსანიშნავი. მასალის დინამიზაციის, ჰარმონიისა და ფაქტურის სფეროში, ასევე ხმათა ურთიერთდამოკიდებულებაში აქ არაერთ ყურადსაღებ დეტალს შევნიშნავთ, ხელს რომ უწყობს მხატვრული მთლიანობის სინატიფეს.

ნ. გაბუნიას ახალი ნაწარმოების წარმატებაში დიდი როლი შეასრულა სწორედ სიმებიანი კვარტეტის ჩინებულმა შესრულებამ. ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ ეროვნული პროფესიული მუსიკის წინსვლისათვის რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ესოდენ მაღალი კლასის ანსამბლთან ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებითი მეგობრობის სიმტკიცეს. დარწმუნებული ვართ, რომ ნ. გაბუნიას კვარტეტი ჩვენი ანსამბლის რეპერტუარში მოიპოვებს თავის მყარ „მოქალაქეობრივ უფლებებს“.

ნანა ქავთარაძე,
მუსიკათმცოდნე.

••

ფესტივალზე სხვა კოლექტივებთან ერთად წარმატებით გამოვიდა მოსკოვის ცნობილი სიმებიანი კვარტეტი, რომელშიც შედიან მიხეილ სეკლერი (I ვიოლინო), ბორის კუშნერი (II ვიოლინო), იგორ სულიგა (ალტი) და ალექსანდრე ოსოკინი (ვიოლონჩელო). კვარტეტმა შეასრულა ბეთჰოვენის, პროკოფიევისა და ბოროდინის კვარტეტები.

სურათზე: უკრავს მოსკოვის სიმებიანი კვარტეტი.

ა. კავკასიძის ფოტო.

გამარჯვებული ფილმები

თურქმენეთის სსრ დედაქალაქ აშხაბადში დამთავრდა XII საკავშირო კინოფესტივალი, რომლის ჟიურიმ სპეციალური დიპლომი და პრიზი მიანიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, კინორეჟისორ რ. კარმენის ხელმძღვანელობით შექმნილ კინოეპოპეას „დიდი სამამულო“.

დიდი წარმატება მოიპოვა ფესტივალზე ქართულმა კინემატოგრაფიამ. მხატვრული ფილმების კონკურსში მთავარი პრიზები მიენიჭა ორ ფილმს. ერთის მფლობელი გახდა კინოსურათი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (დამდგმელი რეჟისორი — ლ. ღოღობერიძე, სცენარის ავტორები — ზ. არსენიშვილი, ე; ახვლედიანი, და ლ. ღოღობერიძე), ხოლო საუკეთესო დოკუმენტური ფილმისათვის ლენინგრადელ დოკუმენტალისტებთან ერთად პირველი პრემია მოიპოვა ქართულმა დოკუმენტურმა კინონაწარმოებმა „ცით გატაცებულნი“ (დამდგმელი რეჟისორი — ლ. ბაქრაძე. სცენარის ავტორები — ლ. ბაქრაძე, დ. მაჭავარიანი).

გარიდან—მთებისაკენ

ალაზნისა და ივრისპირეთიდან ცხვრის ფარებს ახლა მთებისაკენ მიერეკებიან. მალე ბარში ერთობ დაცხება, იალაღებზე კი სიგრილეში ცხვარი კარგად ბალახობს. ამიტომ ეშურებიან მეცხვარეები, რომ ცხვარ-ბატკანი დროზე გაარიდონ ბარს.

გზა მშვიდობისა, მეცხვარეებო!

ს. კილაძის ფოტო.

სპარტაკიადის დღიური

კარგა ხანია ჩვენს რესპუბლიკაში მძლავრად დააბიჯებს საქართველოს VII სპარტაკიადა. უკვე დამთავრდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზონალური სპარტაკიადები, რომლებშიც რაიონების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ 13-13 სახეობაში.

აღმოსავლეთის ზონალურ სპარტაკიადაში 28 კოლექტივს შორის უძლიერესი აღმოჩნდა თელავის რაიონის სპორტული დელეგაცია, რომელმაც 6 პირველი ადგილი მოიგო და საბოლოოდ გაიმარჯვა. დასავლეთის ზონაში პირველობა წილად ხვდა მახარაძის რაიონის ნაკრებს. ზონალურმა სპარტაკიადებმა რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობაში ერთგვარი გამოცოცხლება შეიტანა.

დადგა რესპუბლიკის სპარტაკიადის ფინალური ეტაპის დღეებიც. უძლიერესმა კოლექტივებმა ტურნირები უკვე დაამთავრეს ძიუდოში, ფრენბურთში, ცხენოსნობაში, ჩოგბურთში, ჭადრაკში, ფეხბურთში, აფროსნობაში... როგორც მოსალოდნელი იყო, დაწინაურდა თბილისის ნაკრები. სპარტაკიადაში ჯერჯერობით მეორე ადგილზეა აფხაზეთის კოლექტივი, მესამეზე — ქუთაისისა.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, „დინამოს“ სტადიონზე მიმდინარეობს მძლეოსანთა შეხვედრები. პირველმა დღემ კარგი „მოსავალი“ მოგვცა: ქალთა შორის შუბის ტყორცნაში ს. გუნბამ გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი — 60,68 მ. სპორტის ოსტატობა წლეულს 4-ჯერ შეასრულა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა გ. ივანოვმა. ამჯერადაც მან 100 მეტრზე 10,4 წამი აჩვენა და ჩემპიონიც გახდა. სიგრძეზე ხტომაში სპორტის ოსტატობა მოიპოვა მისმა თანაკურსელმა გ. ხალიბინმა — 768 სმ. აღსანიშნავია, რომ ხალიბინს სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. სანეევი ავარჯიშებს. დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს აგრეთვე თბილისელებმა ა. ალიევმა 400 მეტრზე რბენაში — 47,8, მ. ალიაკრინსკაიამ სიმაღლეზე ხტომაში — 173 სმ და სხვებმა.

მძლეოსნობაში ბრძოლას დღეს დაამთავრებენ, მაგრამ სპარტაკიადა გრძელდება. წინ არის შეჯიბრებები ცურვაში, ველოსპორტში, მშვილდოსნობაში, ნიჩბოსნობაში, ტანვარჯიშში, წყალბურთში, თანამედროვე ხუთჭიდსა და სპორტის სხვა სახეობებში.

ე. მამაცაშვილი.

ირინე გაბაშვილის წარმატება

ტომსკში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში. თასს ზედიზედ მეხუთედ დაეუფლა კიეველი ირინე დერიუგინა, რომელმაც მრავალჭიდში 38,45 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე გავიდა ვოლგოგრადელი ელენე ტომასი — 37,9.

თასისათვის ბრძოლაში კარგად იასპარეზა თბილისელმა ირინე გაბაშვილმა. მან ირინე დევინასთან (მოსკოვის ოლქი) მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო. ამ სპორტსმენებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა (37,85-37,85) დააგროვეს.

სატურნირო ორბიტაზე

რეგბი. მოსკოვში გაიმართა ევროპის XV ჩემპიონატის ბოლო მატჩი. სსრ კავშირის ნაკრები შეხვდა ესპანელთა გუნდს, გაიმარჯვა ანგარიშით 15:9 და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა. მკითხველებს შევახსენებთ, რომ ოქროს მედლები მიიღეს ფრანგებმა, ხოლო ვერცხლისა — რუმინელებმა.

ველორბოლა. თბილისში გაიმართა ოლიმპიური რეზერვის ახალგაზრდა ველოსიპედისტთა საკავშირო შეჯიბრების პირველი ეტაპი, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა. სპრინტში პირველი სამი ადგილი დაიკავეს ე. გელაშვილმა, გ. დვალიშვილმა და ი. გუმაშიანმა. 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები პირველი იყო.

წყალბურთი. თბილისში დაწყებული საერთაშორისო ტურნირის პირველ დღეს სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა უნგრეთის გუნდი — 7:3. საბჭოთა ნაკრების კარს თამაშის ბოლო ორ პერიოდში საიმედოდ იცავდა თბილისელი მ. გიორგაძე. დანარჩენი ორი მატჩის შედეგები ასეთია: კუბა_ყაზახეთი — 4:4, საქართველო-მოსკოვი — 6:6.

ლერნერი, გუფელდი, უბილავა

გამარჯვების ღლისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელ მეცამეტე ტურში გუფელდ-უბილავას ცენტრალურ პარტიაში გაიმარჯვა გუფელდმა. ლერნერმა დაამარცხა აზმაიფარაშვილი, გურგენიძემ — ჩიქოვანი, მიხალჩიშინ-ზაიჩიკი, სტურუა-პოდგაეცკი, იზვოზჩიკოვ-ლუტიკოვი და რომანიშინ-ჩეჩელიანი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია: 9 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა საერთაშორისო ოსტატი ლერნერი (ოდესა), რომელმაც განსაკუთრებით ძლიერად წარმართა შეჯიბრების მეორე ნახევარი. 8,5 -8,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს თბილისელებმა: დიდოსტატმა გუფელდმა და საერთაშორისო ოსტატმა უბილავამ. ამ პირველმა სამეულმა საგრძნობლად ჩამოიტოვა დანარჩენი მეტოქეები.

7-7 ქულა მოაგროვეს დიდოსტატმა რომანიშინმა (ლვოვი) და ოსტატმა ჩეჩელიანმა (თბილისი), 6,5-6,5 — დიდოსტატმა მიხალჩიშინმა (ლვოვი) და ოსტატმა აზმაიფარაშვილმა (თბილისი), 6-6 — საერთაშორისო ოსტატებმა პოდგაეცმა (ოდესა), ზაიჩიკმა, ოსტატებმა სტურუამ და იზვოზჩიკოვმა (ყველანი — თბილისი), 5,5 — დიდოსტატმა გურგენიძემ, 5—ოსტატმა ჩიქოვანმა (ორივე — თბილისი). 3,5 ქულით უკანასკნელ ადგილზეა დიდოსტატი ა. ლუტიკოვი (ტირასპოლი).

გ. გამრეკელი.

გუშინ, დღეს და ხვალ

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტურის პირველი ორი მატჩი. შედეგები ასეთია: „ყაირათი“-„ზარია“ — 2:1, „დინამო“ (მინსკი)-„ლოკომოტივი“ — 3:1.

დღეს ამ ტურის სამი შეხვედრა მოეწყობა: „ნეფთჩი“-„ჩერნომორეცი“, „დინამო“ (მოსკოვი)-ასკ (დონის როსტოვი), „კრილია სოვეტოვი“-ცსკა.

ხვალ „ფახთაქორი“ მიიღებს „შახტიორს“, „არარატი“ —„ტორპედოს“. კიევის „დინამო“ — „ზენიტს“, ხოლო მოსკოვის „სპარტაკი“ — თბილისის „დინამოს“.

სპარტაკელები და თბილისის დინამოელები საკავშირო ჩემპიონატებში ერთმანეთს 73-ჯერ შეხვდნენ. თბილისელებმა 28 მატჩი მოიგეს, 12 ფრედ დაამთავრეს და 33 შეხვედრა წააგეს. ბურთების შეფარდება 114:86 სპარტაკელთა სასარგებლოდ.

წაგება მასპინძლად

კვირას ქუთაისში ადგილობრივმა „ტორპედომ“ მიიღო ნალჩიკის „სპარტაკი“. გამარჯვება სტუმრებმა ანგარიშით 2:0. ქუთაისელებმა ამ დამარცხების შემდეგ მეოთხედან მეექვსე ადგილზე გადაინაცვლეს — 15 ქულა.

ახალი ფორმულით

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა, რომ ფეხბურთელთა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის (ესპანეთში) ფინალურ ეტაპში 24 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. მანამდე, ჩვეულებრივ, ფინალში 16 გუნდი თამაშობდა. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ჟ. ავალანჟის განცხადებით, „ფინალისტთა რიცხვის გაზრდა ხელს შეუწყობს ზთელ მსოფლიოში ფეხბურთის განვითარებას“.

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპში მონაწილეობას მიიღებს ევროპის 14 (ტურნირის მასპინძელთა — ესპანელთა ჩათვლით), სამხრეთ ამერიკის 4 (მსოფლიო ჩემპიონების — არგენტინელების ჩათვლით), აზიის, აფრიკის და ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის 2-2 გუნდი.

პირველ ჯგუფში

სოფიაში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (პირველი ჯგუფი) ფეხბურთში ბულგარეთისა და ირლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ბულგარელებმა — 1:0. 81-ე წუთზე ბურთი გაიტანა ცვეტკოვმა.

გ. ე. ყუანია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველმა საბჭოთა ხალხმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სკკპ წევრი 1945 წლიდან **გრიგოლ (გივი) ერემიას ძე ყუანია.**

გ. ყუანია დაიბადა 1918 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1941 წელს გ. ყუანიამ ფრონტს მიაშურა 47-ე არმიის პოლიტსამმართველოს ინსტრუქტორად.

1942 წელს იგი დაიჭრა და დემობილიზებულ იქნა. 1944 წელს გ. ყუანია სასწავლებლად გაიგზავნა მოსკოვში, უმაღლეს დიპლომატიურ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიავლინეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამუშაოდ. ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ გ. ყუანია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში შედის საერთაშორისო სამართლის სპეციალობით და 1951 წელს, დისერტაციის დაცვის შემდეგ, საქართველოში ჩამოდის. ამ დღიდან იწყება მისი ნაყოფიერი მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი საერთაშორისო სამართლის ლექციებს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1958 წლიდან გ. ყუანიამ მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც 1963 წლიდან უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილებას.

გ. ყუანია საერთაშორისო სამართლის რთული და აქტუალური პრობლემების ღრმა მკვლევარი და რამდენიმე მონოგრაფიისა და მრავალი სტატიის ავტორია. მას, როგორც შემოქმედებითად მოაზროვნე და ფართოდ ერუდირებულ სპეციალისტს, კარგად იცნობს სამეცნიერო საზოგადოებრიობა. დიდი შრომა შეალია გ. ყუანიამ ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის დამუშავებას. იგი რუსულ-ქართული ლექსიკონის „იურიდიული ტერმინოლოგიის“ თანაავტორია. მან ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შექმნაში — არა მარტო მეთაურობდა საერთაშორისო სამართლის სამეცნიერო-სარედაქციო სექციას, არამედ ამ დარგის ბევრი სტატიაც დაწერა გამოსული სამი ტომისა და გამოსაცემად მომზადებული მომდევნო ხუთი ტომისათვის.

გ. ყუანია მხქეფარე საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა: იგი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის სექციის, ფილოსოფიისა და სამართლის თეორიული სემინარის ხელმძღვანელი, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

გ. ყუანია აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ცხოვრებაში, ჩვენი ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელი იყო ხოლმე საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე, იყო საერთაშორისო ასოციაციებისა და საზოგადოებათა წევრი. ბევრ ძალ-ღონეს ახმარდა და დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მუშაობას, როგორც იურიდიული სექციის პრეზიდენტი. გ. ყუანიას საბრძოლო და შრომითი დამსახურება მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ დრომ წაშალოს ამ მომხიბლავი ადამიანის სახე იმათ ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება; ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი.

ე. სიამაშვილი



გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1917 წლიდან სკკპ წევრი ეპიფანე ალექსანდრეს ძე **სიამაშვილი.**

ე. სიამაშვილი დაიბადა 1893 წელს ოზურგეთის მაზრის ასკანის თემის სოფელ მთისპირში რევოლუციონერთა ოჯახში.

1910 წელს ე. სიამაშვილი მუშაობას იწყებს ხაშურში. აქ იგი უკავშირდება ბოლშევიკ-რევოლუციონერებს და ასრულებს მათ დავალებებს. 1914 წელს მას მეფის არმიაში იწვევენ, სადაც რევოლუციურ პროპაგანდას ეწევა. ამიტომ იგი საჯარიმო ბატალიონში განაწესეს და სპარსეთში გაგზავნეს, სადაც დაიჭრა და 1916 წლის დამლევს არმიიდან გაათავისუფლეს.

1917 წლის მარტში ე. სიამაშვილი ბოლშევიკური პარტიის რიგებში შედის და მშობლიურ სოფელში ქმნის კომუნისტურ უჯრედს. ამ დროიდან 1921 წლის თებერვლამდე იგი ეწეოდა არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე, ე. სიამაშვილი მთელი არსებით ჩაება სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

1926 წლიდან ე. სიამაშვილი თბილისშია, სადაც სამი ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ სამეურნეო თანამდებობაზე.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ე. სიამაშვილის ღვაწლი. იგი საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი იყო, მიღებული ჰქონდა „შრომის წითელი დროშის“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენები, მრავალი მედალი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები.

უმწიკვლო ბოლშევიკის, გულისხმიერი ამხანაგის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება.

რევოლუციის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო.

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 24 მაისს.

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.

1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი

ქალაქ დუშანბეში 1979 წლის 15 მაისს გამართული 102-ე მოგებათა ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

მოგება ხვდა სესხის ოთხმოცდასამივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების ოდენობა მანეთობით
100980	1—50	40
101978	10*)	500
102515	34*)	500
102539	13*)	500
103123	39*)	500
103150	33*)	500
103326	48*)	500
103509	48*)	500
103512	23*)	1000
104132	1—50	40
104344	1—50	40
104356	1—50	100
104558	20*)	500
104661	1—50	100
105738	07*)	1000
106259	12*)	500
106371	47*)	1000
106637	1—50	100
107055	17*)	500
107198	29*)	500
107281	50*)	500
107964	08*)	500
108092	22*)	500
110418	43*)	500
111344	49*)	1000
112237	15*)	500
112995	1—50	40
114228	30*)	1000
114230	1—50	40
114606	45*)	500
115895	1—50	40
116010	02*)	500
116772	1—50	40
116886	1—50	100
116944	1—50	100
117285	1—50	40
117408	05*)	500
117831	10*)	500
118290	30*)	500
118343	09*)	1000
119938	09*)	2500
120385	04*)	500
120520	12*)	1000
120838	42*)	500
121234	23*)	500
121683	10*)	500
121776	42*)	1000
122580	33*)	500
122613	03*)	500
122870	38*)	500
123130	48*)	500
123296	1—50	40
123729	14*)	500
125364	30*)	500
125471	20*)	1000
125938	04*)	1000
126411	1—50	40
127029	47*)	500
127094	1—50	40
127485	1—50	100
128744	1—50	100
129014	41*)	500
129185	09*)	500
129829	1—50	100
130210	1—50	40
131074	43*)	1000
131423	16*)	500
132201	36*)	500
133280	1—50	40
133846	27*)	500
134143	04*)	2500
134198	36*)	1000
134290	28*)	500
134844	09*)	500
136173	45*)	500
136192	1—50	40
136898	39*)	500
137444	13*)	500
138558	1—50	100
140031	32*)	500
140463	40*)	500
141666	06*)	1000
142065	35*)	500
142143	39*)	1000
143168	1—50	40
143700	33*)	2500
143877	1—50	40
144116	33*)	500
145910	1—50	100
145975	1—50	40
146607	40*)	500
146622	1—50	40
146999	1—50	40
147202	42*)	500
147923	08*)	500
148347	28*)	500
150138	40*)	5000
150610	1—50	40
150879	04*)	500
151127	01*)	500
151660	1—50	100
151839	06*)	500
151874	03*)	500
152675	01*)	500
152847	50*)	500
153043	1—50	40
153502	06*)	500
154674	1—50	40
154971	37*)	500
155124	35*)	500
155637	41*)	500
156736	10*)	500
157379	15*)	500
158150	01*)	500
159332	1—50	40
159519	37*)	2500
160246	16*)	1000
161358	19*)	500
161417	23*)	500
161569	35*)	500
161685	50*)	500
162984	45*)	500
164860	37*)	500
166041	36*)	2500
166569	1—50	40
167336	31*)	500
167363	1—50	40
168624	36*)	500
168737	15*)	500
168762	24*)	500
168841	1—50	100
169193	17*)	500
170096	1—50	40
170134	38*)	500
170601	39*)	500
171215	06*)	500
171386	50*)	500
171700	1—50	40
171882	1—50	40
172330	24*)	500
172611	41*)	500
173882	1—50	40
173998	02*)	500
174552	1—50	40
175078	10*)	500
175546	1—50	40
175943	20*)	500
176434	43*)	5000
176648	14*)	500
176954	19*)	500
177594	32*)	1000
178116	41*)	500
178128	43*)	500
178244	1—50	40
178899	35*)	500
179561	13*)	1000
181141	39*)	500
181731	42*)	500
181998	1—50	100
182568	05*)	500
182954	1—50	100
183647	06*)	500
183895	16*)	500
184025	42*)	500
184313	24*)	500
184476	04*)	500
184527	13*)	500
185351	1—50	40
185434	1—50	40
185863	08*)	500
187202	01*)	500
188748	1—50	40
190846	48*)	1000
191093	46*)	500
191272	42*)	500
192442	33*)	500
193169	05*)	500
194290	1—50	40
194319	05*)	500
195167	10*)	500
195691	32*)	500
196050	25*)	500
196502	06*)	1000
198403	15*)	1000
198742	11*)	500
198962	1—50	40
198988	1—50	100
199358	47*)	500

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ათმანეთიანი ობლიგაციებით გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — დუშანბეს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რ. ხ. მურასოვა.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ვ. კ. ზამოლოდჩიკოვა.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02188 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.